

Responsible and Impactful Universities as Sustainable Growth and Enterprise Catalysts in Georgia

ევროკავშირის რესურსებზე წვდომა უსდ-ების ოპერაციული და საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხის გასაუმჯობესებლად ინსტრუმენტთა ნაკრები 1

მარტინ ლუთერის ჰალე-ვიტენბერგის უნივერსიტეტი

სექტემბერი

2024

Co-funded by the European Union

პროექტის ნომერი: 101125355
(ERASMUS-EDU-2023-CBHE)

CC BY NC SA

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს/ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ან განათლებისა და კულტურის ევროპული აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) პოზიციას. მათზე პასუხისმგებლობა არც ევროკავშირს და არც EACEA-ს არ ეკისრება.

FACULTY OF MANAGEMENT University of Lodz · TUM int TUM International GmbH The University Company · MARTIN-LUTHER-UNIVERSITÄT HALLE-WITTENBERG · KUTAISI INTERNATIONAL UNIVERSITY

პროექტის ნომერი: 101125355 (ERASMUS-EDU-2023-CBHE)

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს/ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ან განათლებისა და კულტურის ევროპული აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) პოზიციას. მათზე პასუხისმგებლობა არც ევროკავშირს და არც EACEA-ს არ ეკისრება.

შინაარსი

შესავალი 4

ნაწილი 1. ევროკავშირის რესურსებზე წვდომა უსდ-ების გასაძლიერებლად 7

1.1 ევროკავშირის ძირითადი რესურსები უსდ-ების გასაუმჯობესებლად 8

1.2 უსდ-ების სტრატეგიული როლი საქართველოს გლობალურ ინტეგრაციაში . 13

1.2.1 ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა 13

1.2.2 უსდ-ები, როგორც ეკონომიკური განვითარების კატალიზატორები 14

1.2.3 აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაკავშირება: სტრატეგიული გეოპოლიტიკური როლი 15

1.2.4 გლობალური მოქალაქეობისა და კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობა 15

1.3 საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა უსდ-ების განვითარებისთვის 16

1.3.1 კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობით 16

1.3.2 სასწავლო პროგრამების განვითარება და აკადემიური ინოვაცია 16

1.3.3 პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგი 17

1.3.4 გლობალური ქსელებისა და შესაძლებლობების გაფართოება 18

1.4 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმდინარე მდგომარეობა . 18

1.5 წარმატებული ევროპული მოდელების გამოცდილების გაზიარება 19

მოდული 2. ოპერაციული ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტების მეშვეობით 21

2.1 ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დანერგვა 24

2.2 ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტები 25

2.3 ტრენინგი და სერტიფიცირება 26

2.4 ევროკავშირის ხარისხის სტანდარტები და მათი გავლენა აკრედიტაციაზე ... 28
2.4.1 ევროკავშირის აკრედიტაციის ჩარჩოს გააზრება ... 28
2.4.2 საქართველოს უსდ-ების აკრედიტაციის პროცესი ... 28
2.4.3 გავლენა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე ... 29
2.4.4 ადგილობრივი ადაპტაცია საქართველოს უსდ-ებისთვის ... 30
2.5 თანამედროვე მმართველობა: ინსტიტუციური რეფორმები ევროკავშირის მხარდაჭერით ... 31
მოდული 3. ციფრული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ინტეგრაცია საქართველოს უსდ-ებში ... 33
3.1 დისტანციური სწავლება: შესაძლებლობები და გამოწვევები ... 33
3.2 მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი აკადემიურ მართვაში ... 35
3.3 ვირტუალური ლაბორატორიებისა და ციფრული შეფასების როლი ... 37
3.4 ბლოკჩეინი სერტიფიცირებისა და აკადემიური გამჭვირვალობისთვის ... 38
მოდული 4. სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებით ... 39
4.1 მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალებზე წვდომა ... 40
4.2 ევროკავშირის მასალების მორგება საქართველოს უსდ-ებისთვის ... 41
4.3 ინტერდისციპლინური მიდგომების გაძლიერება საქართველოს უსდ-ებში ... 41
4.4 კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების შემუშავება ... 43
4.5 უნარების დეფიციტის შემცირება: სტუდენტების მომზადება XXI საუკუნის კარიერისთვის ... 44
მოდული 5. ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და პერსონალის განვითარება ... 44
5.1 Erasmus+-ის როლი პერსონალის მობილობასა და თანამშრომლობაში ... 45
5.2 უწყვეტი განათლება და პროფესიული განვითარება ... 46
5.3 ევროკავშირის წვლილი უსდ-ებში ლიდერობის განვითარებაში ... 47
მოდული 6. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გამოყენება საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხისთვის ... 49
6.1 ადგილობრივი გამოყენებისთვის მორგება ... 50
6.2 ევროკავშირის რესურსების იდენტიფიკაციის ცენტრის როლი ... 51
6.3 არსებულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება ... 51

6.4 გავლენა საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხსა და სტუდენტთა შედეგებზე 52

მოდული 7. შემთხვევის კვლევა: Erasmus+-ის წარმატებული გამოყენება საქართველოს უსდ-ების მიერ 52

დასკვნა 55

ლიტერატურა: 56

შესავალი

ინსტრუმენტთა ნაკრები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პროცესების მხარდამჭერი ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოა. ინტერნაციონალიზაცია გლობალურ საგანმანათლებლო გარემოში ინსტიტუციური ზრდის ძირითად ელემენტად არის წარმოდგენილი და გლობალურ ტენდენციებსა და ადგილობრივ საჭიროებებს შორის ბალანსს მოითხოვს. ბროშურა ხუთი მთავარი ნაწილისგან შედგება, რომლებიც ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა ასპექტს აღწერს: ინსტიტუციურ სტრატეგიებს, აკადემიურ თანამშრომლობას, პროექტების მართვასა და უნივერსიტეტის ბრენდინგს.

ინსტრუმენტთა ნაკრების მიზანია ყოვლისმომცველი მითითებების მიწოდება ევროკავშირის რესურსებზე წვდომისა და მათი გამოყენების, სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბების, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობისა და ინოვაციური პრაქტიკის დანერგვის შესახებ, რათა ისეთ ძირითად სფეროებში გაუმჯობესდეს ინსტიტუციური საქმიანობა, კურიკულუმის ხარისხი და გლობალური კონკურენტუნარიანობა, როგორიცაა:

- ევროკავშირის რესურსებზე წვდომა საქართველოს უსდ-ების აკადემიური და ოპერაციული შესაძლებლობების გასაძლიერებლად.
- ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა ინსტიტუციური ხარისხისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გამოყენება ინსტიტუციური შინაარსის ხარისხისა და სტუდენტთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

პირველი ნაწილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობების გასაძლიერებლად ევროკავშირის რესურსებზე წვდომას წარმოგვიდგენს. იგი უსდ-ების გასაუმჯობესებლად ხელმისაწვდომ ევროკავშირის ძირითად რესურსებს განიხილავს და გლობალურ ინტეგრაციაში საქართველოს უსდ-ების სტრატეგიულ როლს უსვამს ხაზს. ნაწილი მოიცავს, როგორ შეუძლიათ დაწესებულებებს ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა, ეკონომიკური განვითარების კატალიზატორებად ქცევა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის გეოპოლიტიკურად დაკავშირება და გლობალური მოქალაქეობისა და კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობა.

მეორე ნაწილი ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დანერგვით ოპერაციული ხარისხის გაუმჯობესებაზეა ფოკუსირებული. იგი ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებსა და ამ სტანდარტების შესასრულებლად აუცილებელ ტრენინგისა და სერტიფიცირების პროცესებს განიხილავს. ნაწილი მოიცავს ევროკავშირის აკრედიტაციის ჩარჩოსა და მის გავლენას საქართველოს უსდ-ებზე, მათ შორის აკრედიტაციის პროცესსა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის მის შედეგებს. იგი ასევე განიხილავს ევროკავშირის მხარდაჭერილ თანამედროვე მმართველობის პრაქტიკასა და ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც საქართველოს უსდ-ებს მდგრადი ზრდისკენ წარმართავს.

მესამე ნაწილი საქართველოს უსდ-ებში ციფრულ ტრანსფორმაციასა და ტექნოლოგიურ ინტეგრაციას ეხება. იგი დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებსა და გამოწვევებს წარმოაჩენს და აკადემიურ მართვაში მონაცემთა ანალიტიკისა და AI-ის როლს განიხილავს. ნაწილი ასევე მიმოიხილავს ვირტუალურ ლაბორატორიებს, ციფრულ შეფასებებს და ბლოკჩეინის პოტენციალს სერტიფიცირებისა და საქართველოს დაწესებულებებში აკადემიური გამჭვირვალობის გასაძლიერებლად.

მეოთხე ნაწილი განიხილავს, როგორ შეიძლება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გამოყენება კურიკულუმის ხარისხის გასაუმჯობესებლად. იგი ხაზს უსვამს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალებზე წვდომას, საქართველოს უსდ-ებისთვის მათ ადაპტაციასა და კურიკულუმის განვითარებაში ინტერდისციპლინური მიდგომების მნიშვნელობას. ნაწილი ასევე მოიცავს კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმების შექმნას და იმას, თუ როგორ შეუძლიათ უსდ-ებს უნარების დეფიციტის შემცირება XXI საუკუნის კარიერისთვის სტუდენტების უკეთ მოსამზადებლად.

მეხუთე ნაწილი შესაძლებლობების განვითარებასა და პერსონალის ზრდაზეა ფოკუსირებული. იგი პერსონალის მობილობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში Erasmus+-ის როლს განიხილავს და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისა და პროფესიული განვითარების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ნაწილი ასევე მიმოიხილავს ევროკავშირის წვლილს უსდ-ებში ლიდერობის განვითარებაში, რაც პერსონალს ინსტიტუციური წარმატების მისაღწევად საჭირო უნარებითა და გამოცდილებით უზრუნველყოფს.

მეექვსე ნაწილი უსდ-ებში შინაარსის ხარისხის გასაუმჯობესებლად ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გამოყენებას მოიცავს. იგი ხაზს უსვამს ევროკავშირის რესურსების ადგილობრივი გამოყენებისთვის მორგებასა და ევროკავშირის რესურსების იდენტიფიცირების ჰაბის როლს. ნაწილი განიხილავს

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მასალების არსებულ კურიკულუმებში ინტეგრირებას და მათ დადებით გავლენას შინაარსის ხარისხსა და სტუდენტთა შედეგებზე.

ბოლო ნაწილი საქართველოს უსდ-ების მიერ Erasmus+-ის წარმატებით გამოყენების შემთხვევის კვლევას წარმოადგენს. იგი პრაქტიკულ მიგნებებს გვთავაზობს იმ დაწესებულებებიდან, რომლებმაც პროგრამა ინსტიტუციური ზრდისა და განვითარებისთვის ეფექტიანად გამოიყენეს, და საქართველოს სხვა უსდ-ებისთვის გამოსაყენებელ სტრატეგიებს წარმოაჩენს.

კურსის გავლის შემდეგ მონაწილეები შეძლებენ:

- გაიაზრეთ უსდ-ების როლი, როგორც საქართველოში მდგრადი ზრდისა და მეწარმეობის კატალიზატორებისა.
- შეისწავლეთ, როგორ მიიღოთ წვდომა ევროკავშირის რესურსებზე და გამოიყენოთ ისინი ოპერაციული ხარისხისა და აკადემიური შინაარსის გასაუმჯობესებლად.
- ინსტიტუციური მიზნების ევროკავშირის ხარისხის სტანდარტებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობა.
- უმაღლეს განათლებაში ციფრული ტრანსფორმაციისა და ტექნოლოგიური ინტეგრაციის სტრატეგიების შესწავლა.
- სასწავლო პროგრამებში ინოვაციების ხელშეწყობა XXI საუკუნის სამუშაო ძალის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ინტერდისციპლინური სწავლის გასაძლიერებლად.
- ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის, პროფესიული განვითარებისა და ლიდერობის ტრენინგების მეშვეობით.
- ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი წარმატებული ინიციატივების გამოცდილების გაანალიზება და გამოყენება საქართველოს უსდ-ებში მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად.

პუბლიკაცია არა მხოლოდ თეორიულ მიგნებებს, არამედ პრაქტიკულ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებსაც სთავაზობს უსდ-ებს, რათა ევროკავშირის რესურსები ოპერაციული და შინაარსობრივი ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენონ. იგი გლობალური და ადგილობრივი პრიორიტეტების დაბალანსებისა და საერთაშორისო ჩართულობის უფრო ინკლუზიური, მდგრადი და ეფექტიანი მოდელის შექმნის აუცილებლობას უსვამს ხაზს.

ნაწილი 1. ევროკავშირის რესურსებზე წვდომა უსდ-ების გასაძლიერებლად

უმაღლესი განათლების თანამედროვე სამყაროში საარსებო რესურსებისა და ქვეყნის საერთო პოზიციისთვის კონკურენციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის (უსდ-ებისთვის) ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს (Hazelkorn, 2018). სხვა სიტყვებით, ევროკავშირი (EU) საქართველოს უსდ-ებისთვის ფინანსური რესურსებისა და ინსტრუმენტების განსაკუთრებული წყაროა, რომელიც მათ შესაძლებლობების გაძლიერებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში ეხმარება. ეს რესურსები ძირითად სამუშაო სფეროებში, მაგალითად ხარისხის უზრუნველყოფაში, საერთაშორისო მობილობასა და ციფრულ ტრანსფორმაციაში, სტრუქტურულ ცვლილებებს უწყობს ხელს (Ilyasov et al., 2023). ევროკავშირის დაფინანსებით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ დაიწყონ მოდერნიზაცია, შეამცირონ ჩამორჩენა და ევროპული სტანდარტების შესაბამისად განავითარონ ინოვაციისა და სრულყოფილების კულტურა (Iosava, 2019).

უმაღლესი განათლებისადმი ევროკავშირის მხარდამჭერი მიდგომა განათლების სექტორის გასაძლიერებელ მრავალ პროგრამასა და ინიციატივაში ჩანს (Alexiadou and Rambla, 2023). ერთ-ერთი მათგანია Erasmus+ — ევროკავშირის ფლაგმანი ინიციატივა, რომელიც სტუდენტთა და პერსონალის გაცვლას, ერთობლივ აკადემიურ პროგრამებსა და თანამშრომლობით პროექტებს მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას უწევს. ეს არა მხოლოდ აკადემიურ გამოცდილებას საერთაშორისო პერსპექტივას მატებს, არამედ გლობალური კავშირების ქსელსაც ქმნის, რაც უსდ-ების გრძელვადიანი წარმატებისთვის გადამწყვეტია (Bakar et al., 2024). ამასთან, ევროკავშირის აქცენტი ციფრულ ტრანსფორმაციაზე საქართველოს უსდ-ებისთვის მეტად აქტუალურია. სულ უფრო ციფრულ საგანმანათლებლო პროცესებში ევროკავშირის ძირითად რესურსებზე წვდომას შეუძლია მოწინავე ტექნოლოგიების, მათ შორის სწავლის მართვის სისტემების, ვირტუალური ლაბორატორიებისა და ონლაინშეფასების ინსტრუმენტების დანერგვას შეუწყოს ხელი. ეს ციფრული საფუძველი განათლების ხელმისაწვდომობისა და მოქნილობის გასაფართოებლად აუცილებელია და მას თანამედროვე მოსწავლეთა საჭიროებებზე უფრო რეაგირებადს ხდის (Kikutadze, V and Lekishvili, T, 2022).

ევროპულ მხარდაჭერას ხარისხის უზრუნველყოფაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეუძლია. ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ხარისხის ჩარჩოებსა და აკრედიტაციის პროცესებში მონაწილეობა საქართველოს უსდ-ებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შედარების, სანდოობის გაზრდისა და სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის შეთავაზების საშუალებას აძლევს (Staring,

F and Bacsich, P, 2022). საერთო მიდგომებისა და სასწავლო პროგრამების მოდიფიკაციის დაფინანსებით საქართველოს დაწესებულებებს შეუძლიათ მრავალი დისციპლინის პროგრამების განახლება და მრავალდარგობრივი მიდგომების განვითარება, რაც სტუდენტებს XXI საუკუნის შრომის ბაზრისთვის ამზადებს (Medicine et al., 2020).

დასასრულ, ევროკავშირში ხელმისაწვდომი რესურსების სტრატეგიული გამოყენებით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ საკუთარი სტატუსის გამოყენება, ევროპული სტანდარტების დაცვა და უმაღლეს განათლებაში გლობალური სიმაღლეების მიღწევა. ეს ქმნის ტრანსფორმაციის შესაძლებლობას სრულყოფილების, ინოვაციისა და გლობალური თანამშრომლობის კულტურისკენ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში სტუდენტებს, პერსონალსა და საზოგადოებას სარგებელს მოუტანს.

1.1 ევროკავშირის ძირითადი რესურსები უსდ-ების გასაუმჯობესებლად

ევროკავშირმა უსდ-ების გასაძლიერებლად მათი ეფექტიანობის, საგანმანათლებლო შედეგებისა და კვლევითი შესაძლებლობების ზრდაზე ორიენტირებული სრულყოფილი ინსტრუმენტთა ნაკრები შექმნა. ეს რესურსები საზღვრებს შორის თანამშრომლობას უზრუნველყოფს, ინოვაციას ასტიმულირებს და ინსტიტუციური პროცესების გლობალურ სტანდარტებთან შესაბამისობის ეტალონს ქმნის, რითაც უსდ-ებს გარდაქმნის შესანიშნავ შესაძლებლობებს სთავაზობს. ეს ინსტრუმენტები განსაკუთრებით სასარგებლოა საქართველოსთვის, რადგან ქვეყნის უსდ-ებს შეუძლიათ ევროკავშირის დაფინანსება და პროგრამები საგანმანათლებლო მოდერნიზაციისთვის გამოიყენონ და გლობალურ მოლოდინებს დაეწიონ. ქვემოთ წარმოდგენილია უკეთესი უსდ-ებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ევროკავშირის რესურსების უფრო დეტალური ანალიზი (European Commission, 2018).

Erasmus+-ის პროგრამა[1]

ევროკავშირის ერთ-ერთი ფლაგმანი ინიციატივაა Erasmus+, რომელიც ყველასთვის მობილობასა და თანამშრომლობასთან დაკავშირებული შესაძლებლობების შექმნით საგანმანათლებლო სრულყოფილებას უწყობს ხელს. პროგრამის დაფინანსებას ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს: Erasmus+ უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობისთვის აუცილებელ ფინანსებს და მხარს უჭერს არა ერთი დაწესებულების, არამედ საერთაშორისო ინსტიტუციურ დონეზე შექმნილ აკადემიურ პროგრამებს, თუ ისინი

[1] https://erasmus-plus.ec.europa.eu

საგანმანათლებლო შესაძლებლობებს აძლიერებს (Commission Implementing Decision, 2021). უსდ-ებისთვის ძირითადი სარგებელი მოიცავს:

- **სტუდენტთა მობილობა:** Erasmus+ ქართველ სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლისა და მომზადებისთვის ფინანსურ დახმარებას სთავაზობს, სადაც მათ განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემების, კულტურებისა და ენების გაცნობა შეუძლიათ. ასეთი გამოცდილება არა მხოლოდ სტუდენტების აკადემიურ დონეს ამაღლებს, არამედ მათ გლობალურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს, რაც თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ სამყაროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია (European Commission, 2021).
- **პერსონალის** მობილობა: Erasmus+-ის პროგრამა საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტებს შორის აკადემიური პერსონალის გაცვლას უწყობს ხელს. ეს მობილობა თანამშრომლებს სწავლების ახალი მიდგომების შექმნაში, გამოცდილების გლობალურად გავრცელებასა და კვლევითი კავშირების გაძლიერებაში ეხმარება. იგი ასევე ხელს უწყობს ინსტიტუციურ ქსელებსა და იმ პროგრამების უწყვეტობას, რომლებიც როგორც საქართველოს, ისე ევროპის უნივერსიტეტებისთვის სასარგებლოა (European Commission, 2024a).
- **ინსტიტუციური** შესაძლებლობების განვითარების პროექტები: პროგრამა აფინანსებს პროექტებს, რომლებიც ინსტიტუციური მმართველობის, სასწავლო პროგრამებისა და განათლების მიწოდების რეფორმასა და განახლებას ემსახურება. ისინი საქართველოს აძლევს შესაძლებლობას შეისწავლოს და დანერგოს ევროპული ინსტიტუტების საუკეთესო პრაქტიკა, განსაკუთრებით უმაღლეს განათლებაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და უმაღლესი განათლებისა და კვლევის მდგრადი მართვის სფეროებში (European Commission, 2023).

გავლენა ინსტიტუციურ ოპერაციებზე:

Erasmus+ ბევრად სცდება სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას. პროგრამა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, ზრდის უსდ-ების ოპერაციული ეფექტიანობის სტანდარტებს და დაწესებულებებს ადმინისტრაციული პროცესების საერთაშორისო სტანდარტებთან მორგებაში ეხმარება. შედეგად საქართველოს უსდ-ები უფრო მიმზიდველი ხდება უცხოელი სტუდენტების, პერსონალისა და მკვლევრებისთვის და ზრდის შიდა ეფექტიანობასა და გლობალურ კონკურენტუნარიანობას. Erasmus+-ს აქვს სწავლებისა და სწავლის, ინოვაციური პედაგოგიკის, პროგრამების მართვისა და მრავალფეროვნებისა და ინსტიტუციური მმართველობის წარმატებული მოდერნიზაციის გამოცდილება (European Commission, 2024b).

ჰორიზონტი ევროპა[2]

ჰორიზონტი ევროპა ევროკავშირის უდიდესი კვლევისა და ინოვაციების პროგრამაა, რომელიც 5 წლის განმავლობაში 95 მილიარდ ევროზე მეტს (მიმდინარე ფასებში) გამოყოფს მრავალ სფეროში კვლევისა და განვითარების მხარდასაჭერად. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ევროკავშირის „სამეცნიერო სრულყოფილებას, რომელიც ტექნოლოგიურ პროგრესსა და გლობალურ კონკურენტუნარიანობას განაპირობებს“ (Iosava, 2019).

შესაძლებლობები საქართველოს უსდ-ებისთვის:

- **ერთობლივი კვლევითი** პროექტები: ჰორიზონტი ევროპის მეშვეობით საქართველოს უსდ-ებს ევროპელ პარტნიორებთან მოწინავე კვლევით პროექტებში მონაწილეობა შეუძლიათ, რაც მონაწილე დაწესებულებების კვლევით შესაძლებლობებს აძლიერებს. საქართველოს უნივერსიტეტებს შეუძლიათ წამყვან ევროპულ კვლევით ინსტიტუტებთან ითანამშრომლონ თანამედროვე გლობალურ გამოწვევებზე, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ციფრული ტრანსფორმაცია და ჯანმრთელობის კრიზისები (Lekashvili, 2019).
- **ინოვაცია და ტექნოლოგიების** გადაცემა: პროგრამა არა მხოლოდ აკადემიურ კვლევას უჭერს მხარს, არამედ კვლევის შედეგების კომერციალიზაციასაც უწყობს ხელს. საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ ინდუსტრიასთან უფრო ძლიერი კავშირები დაამყარონ და შექმნან ინოვაციური ეკოსისტემები, რომლებიც კვლევაზე დაფუძნებულ სტარტაპგარემოს განავითარებს (Kvirkvaia et al., 2022).
- **კვლევითი ინფრასტრუქტურის გაძლიერება:** ჰორიზონტი ევროპა აფინანსებს უსდ-ებში ისეთი კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და გაუმჯობესებას, როგორიცაა ლაბორატორიები, მონაცემთა ცენტრები და ციფრული პლატფორმები. ეს ინვესტიცია საქართველოს უსდ-ებში კვლევით სრულყოფილებას უჭერს მხარს და ეხმარება მათ კვლევითი აქტივობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდაში, მაღალი კვალიფიკაციის მკვლევრების მოზიდვასა და ღირებული საერთაშორისო ქსელებისა და პარტნიორობების შექმნაში (Toti and Cina, 2024).

სტრატეგიული სარგებელი:

ჰორიზონტი ევროპის მეშვეობით საქართველოს უსდ-ებს წარმატებული კვლევითი გარემოს შექმნა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში საკუთარი პროფილის ამაღლება შეუძლიათ. კვლევითი თანამშრომლობა

[2] https://research-and-innovation.ec.europa.eu

დაწესებულებებს ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებზე წვდომას აძლევს, რომელთა დამოუკიდებლად განვითარებაც შესაძლოა ვერ შეძლონ. ამასთან, პროგრამის აქცენტი ინტერდისციპლინურ კვლევაზე გლობალურ აკადემიურ ტენდენციებს შეესაბამება და საქართველოს უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნონ გლობალურ ცოდნის ეკონომიკაში, სადაც ინოვაცია განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება.

ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT)[3]

EIT ევროკავშირის მნიშვნელოვანი ინიციატივაა, რომლის მიზანი განათლებასა და ინდუსტრიაში ინოვაციის წახალისებაა (Leceta and Könnölä, 2021). ამ მიზნების მიღწევის მთავარი საშუალებაა EIT-ის ცოდნისა და ინოვაციის საზოგადოებები (KICs) — ორგანიზაციები, რომლებიც კომპანიებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით დაწესებულებებს შემოქმედებით ცენტრებში აერთიანებს (B. Zhang, 2022).

უსდ-ების სასწავლო პროგრამებისა და მეწარმეობის გაძლიერება:

- **EIT Label-ის** სერტიფიცირება: EIT სთავაზობს ოფიციალურ სერტიფიკატებს, მათ შორის EIT Label-ს, რომელიც ინოვაციებისა და მეწარმეობის სწავლების უმაღლესი პრინციპების მქონე უსდ პროგრამებს აღიარებს. სტანდარტი ადასტურებს, რომ დაწესებულებები ინდუსტრიასთან დაკავშირებულ პროგრამებსა და უახლეს ტექნოლოგიებს სთავაზობენ და სამეწარმეო უნარებს ავითარებენ (Šoštarić et al., 2023).
- **სამეწარმეო უნარების განვითარება:** საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც EIT-ის ინოვაციებზე დაფუძნებულ პოლიტიკას სასწავლო პროგრამებში ნერგავენ, კურსების შეთავაზებაში მეწარმეობასაც აფართოებენ. ეს მომავალ კურსდამთავრებულებს იდეების შექმნის, კომპანიების ჩამოყალიბებისა და ეროვნული ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ინსტრუმენტებს აძლევს (Rosienkiewicz et al., 2024).
- **სექტორთაშორისი** თანამშრომლობა: EIT-ის მეშვეობით საქართველოს უნივერსიტეტებს შეუძლიათ ინდუსტრიის ლიდერებსა და კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც აკადემიური კვლევა პირდაპირ უკავშირდება ბაზრის მოთხოვნებს. ეს ინდუსტრიული კავშირი უსდ-ებს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში ახალ როლს ანიჭებს და სტუდენტებსა და მკვლევრებს რეალურ პრობლემებზე ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალებას აძლევს.

[3] https://eit.europa.eu

გავლენა განათლების ხარისხზე:

EIT გავლენას ახდენს საგანმანათლებლო შინაარსის მიწოდებაზე და საქართველოს უსდ-ებს ეხმარება ფეხი აუწყონ როგორც აკადემიურ ცოდნას, ისე დასაქმების ცვალებად მოთხოვნებს. სტუდენტებსა და პერსონალში ინოვაციებისა და კრეატიულობის ხელშეწყობით EIT ქმნის უფრო მოქნილ სასწავლო გარემოს, რომელიც უშუალოდ პასუხობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას (Tabatadze and Dundua, 2023).

Europass-ის ციფრული სერტიფიკატების ჩარჩო[4]

Europass-ის ციფრული კვალიფიკაციების ჩარჩო ევროპაში აკადემიური კვალიფიკაციებისა და უნარების გაცემის, შენახვისა და გადამოწმების მარტივ გზას უზრუნველყოფს. ჩარჩო ციფრული სერტიფიკატების გაცემას შესაძლებელს ხდის, რათა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში (EHEA) კვალიფიკაციები მარტივად გადაიტანონ და აღიარონ (Gottlieb and Bacharach, 2024).

ძირითადი მახასიათებლები და სარგებელი:

- **მიკროკვალიფიკაციები და მთელი სიცოცხლის** განმავლობაში სწავლა: Europass მხარს უჭერს დაგროვებად მიკროსერტიფიკატებსა და მოკლე, მოდულურ კურსებს ცოდნის გასაახლებლად ან სამუშაოსთან დაკავშირებული უნარების შესაძენად, რომლებიც შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად არის შექმნილი. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ინიციატივებისთვის და შეიძლება ღირებული იყოს სტუდენტებისა თუ პროფესიონალებისთვის, რომელთაც სრული აკადემიური პროგრამის დასრულების გარეშე სურთ უნარების გაუმჯობესება.
- **გამჭვირვალობა და** მობილობა: რადგან Europass-ის დოკუმენტები ციფრულია, მათი საზღვრებს მიღმა გაზიარება უფრო მარტივია, რათა სტუდენტებისა და პროფესიონალების დოკუმენტები ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აღიარონ. ეს აკადემიურ მობილობას უწყობს ხელს და სტუდენტთა უნარების სანდო ჩარჩოში დადასტურებით დასაქმების შესაძლებლობებს აუმჯობესებს.
- **ბლოკჩეინზე დაფუძნებული** გადამოწმება: უსაფრთხოებისა და კომპეტენციების ავთენტურობის უზრუნველსაყოფად Europass იყენებს

[4] https://europass.europa.eu

თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორიცაა ბლოკჩეინი. ეს ზრდის ნდობას საქართველოს უსდ-ების დიპლომების მიმართ და მათ ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ სანდოდ და მარტივად გადასატანს ხდის.

გავლენა უსდ-ის ადმინისტრირებასა და სტუდენტთა შედეგებზე:

Europass-ის ჩარჩოს შეუძლია საქართველოში დაწესებულებების აკრედიტაციის ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და დოკუმენტების დამუშავების გამარტივება. ციფრული სერტიფიკატები სტუდენტებს კვალიფიკაციების გადატანასაც უადვილებს, როდესაც ისინი ევროპის სხვა ნაწილში სამუშაოს ეძებენ ან განათლებას აგრძელებენ. გარდა ამისა, Europass-ის მეშვეობით აკადემიური კვალიფიკაციების გადაცემით გაზრდილი გამჭვირვალობა ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული ხარისხის ნიშნებისადმი ნდობას გააძლიერებს და ამით საქართველოს უსდ-ების საერთაშორისო სანდოობას გაზრდის.

1.2 უსდ-ების სტრატეგიული როლი საქართველოს გლობალურ ინტეგრაციაში

საქართველოს უსდ-ების როლი ევროპულ საგანმანათლებლო ჩარჩოსა და გლობალურ ეკონომიკასთან კავშირის თვალსაზრისით არა მხოლოდ სტრატეგიულად მნიშვნელოვანია, არამედ შეუქცევადიც. უსდ-ებში იქმნება ცოდნა, ინოვაცია და ადამიანური კაპიტალი, რაც მათ ეკონომიკური ზრდისა და სოციალური პროგრესის მამოძრავებლად აუცილებელს ხდის. უნივერსიტეტები არა მხოლოდ ხვალინდელ ადამიანებს აყალიბებს, არამედ კეთილსინდისიერებასაც განასახიერებს. საქართველოს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სტრატეგიული პოზიციონირება ქვეყნის მისწრაფებას შეესაბამება, გახდეს გლობალური საგანმანათლებლო და ეკონომიკური სისტემის ძლიერი წევრი. სხვა სიტყვებით, ევროკავშირის სტანდარტებთან კოორდინირებითა და საერთაშორისო თანამშრომლობაში მონაწილეობით საქართველოს უსდ-ები ქვეყნის გლობალურ ინტეგრაციას უწყობს ხელს.

1.2.1 ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობა

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF) და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) საქართველოს დაწესებულებებს ევროკავშირის სხვა ქვეყნების დაწესებულებებთან აკავშირებს და სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას ზრდის. საქართველოს კვალიფიკაციების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია ასევე ნიშნავს, რომ თანამედროვე პროგრამებსა და ასეთ გაცვლით შეთანხმებებში მონაწილე უსდ-ებში მიღებული სერტიფიკატები მთელ ევროპაში შეიძლება აღიარონ, რაც

კურსდამთავრებულებისა და მკვლევრებისთვის მობილობის შესაძლებლობებს ქმნის (Ana Papiashvili, 2024; Wagenaar, 202AD).

ამგვარად, ეს მიდგომები არა მხოლოდ ხელს უწყობს საქართველოში საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტების შესრულებას, არამედ საქართველოს კურსდამთავრებულებს შემდგომი განათლებისა თუ საზღვარგარეთის შრომის ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს ხდის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველი სტუდენტებისთვის, რადგან მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მათ დასაქმების შესაძლებლობებს და მათ კვალიფიკაციებს გლობალურად შესადარისსა და კონკურენტულს ხდის. ასეთი სტანდარტიზაცია ასევე ხელს უწყობს საქართველოს განათლების მთლიანი ღირებულებათა ჯაჭვის საერთაშორისო აღიარებასა და აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოზიდვას.

1.2.2 უსდ-ები, როგორც ეკონომიკური განვითარების კატალიზატორები

უსდ-ები ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის ინკუბატორებად მოქმედებენ და კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადებითა და მეწარმეობის ხელშეწყობით საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას აჩქარებენ (Wadee, 2017). ევროპულ კვლევით ინსტიტუტებსა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობით საქართველოს უნივერსიტეტები ადგილობრივი პრობლემების გამოყენებითი კვლევისა და გლობალურ ცოდნაში წვლილის ცენტრები გახდნენ. ეს განსაკუთრებით ჩანს ციფრულ ტექნოლოგიებში, გარემოს მდგრადობასა და სოფლის მეურნეობაში, რომლებმაც ჰორიზონტი ევროპის პროექტების შედეგებით ისარგებლეს.

ამ პარტნიორობამ საქართველოს უსდ-ებს მსოფლიოში ცოდნაზე დაფუძნებული სექტორების გაძლიერების საშუალება მისცა. განვითარებული უნარებიდან ბევრი მაღალი მოთხოვნის სფეროებს ეხება და კურსდამთავრებულებისთვის ციფრულ ტრანსფორმაციაში, ინჟინერიასა თუ მდგრად განვითარებაში მიმზიდველ სამუშაოებს ქმნის. უსდ-ები მეწარმეობასაც უწყობს ხელს ინოვაციური ეკოსისტემების ძირითადი ელემენტების შექმნით — ბიზნესინკუბატორებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის და ბიზნესაქსელერატორებით მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის, აკადემიური გამომგონებლებისა და უნივერსიტეტის სტარტაპებისთვის — სადაც სტუდენტებსა და მკვლევრებს ახალი საწარმოების ჩამოყალიბება და იდეების პრაქტიკაში გადატანა შეუძლიათ.

1.2.3 აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაკავშირება: სტრატეგიული გეოპოლიტიკური როლი

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე ქვეყნის უნივერსიტეტებს სხვადასხვა საგანმანათლებლო და ეკონომიკური მიდგომების მქონე ქვეყნებს შორის ხიდად ქცევის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს. საქართველოს უსდ-ების ევროპელ და აზიელ პარტნიორებთან თანამშრომლობა იდეების, კულტურებისა და კვლევის მეთოდების მრავალფეროვან დიალოგს უზრუნველყოფს. ორივე რეგიონის საუკეთესო პრაქტიკის ეფექტიანი გამოყენებით საქართველოს განათლების სისტემა უფრო მრავალმხრივი და ადაპტაციური გახდება (Chankseliani and Qoraboyev, 2021).

საქართველოს ევროპული ორიენტაციის უსდ-ები და სხვა საერთაშორისო დაწესებულებები რეგიონში ახალი შესაძლებლობების მაძიებლებისთვის კავკასიისა და ცენტრალური აზიის კარიბჭეა. პარტნიორი უნივერსიტეტები და კვლევითი ინსტიტუტები ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით პროექტებს ახალ ბაზრებთან აკავშირებს და ქართველ მეცნიერებსა და სტუდენტებს უფრო ფართო და მრავალფეროვან სამეცნიერო-ეკონომიკურ ქსელებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

1.2.4 გლობალური მოქალაქეობისა და კულტურული დიპლომატიის ხელშეწყობა

საქართველოს უსდ-ები არა მხოლოდ ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებენ, არამედ გლობალური მოქალაქეობისა და კულტურული დიპლომატიის განვითარებაზეც აგებენ პასუხს. საერთაშორისო კონფერენციები, კვლევითი თანამშრომლობა და მსგავსი საქმიანობა სტუდენტებსა და პერსონალში კულტურათაშორისი გაგებისა და გლობალური ხედვის ხელშეწყობის ეფექტიანი გზებია. ეს ხელს უწყობს სტუდენტთა პირად და პროფესიულ განვითარებას და ამდიდრებს საქართველოს ურთიერთობას გლობალურ საზოგადოებასთან (Jibladze and Glonti, 2020).

ამ გზით Erasmus+-ის პროგრამა და ევროკავშირის სხვა ინიციატივები ქართველ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს განსხვავებულ აკადემიურ ტრადიციებს, მეთოდებსა და კულტურებს აცნობს. ცოდნის ასეთი გაცვლით შესაძლებელია გლობალური პროფესიონალების ახალი თაობის ჩამოყალიბება, რომელსაც ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც მუშაობა შეეძლება. ამგვარად უსდ კულტურული დიპლომატიის ცენტრად იქცევა, სადაც საქართველო გლობალურ სამეცნიერო და პოლიტიკურ დიალოგში აქტიურ მონაწილედ წარმოჩნდება (Bobotsi, 2021).

1.3 საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა უსდ-ების განვითარებისთვის

საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური უმაღლესი განათლების გარემოს განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო საქართველოს უსდ-ებსა და ევროკავშირის ინსტიტუტებს შორის პარტნიორობა მათი განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. კარგად მართული უნივერსიტეტი ახერხებს კვლევისა და განვითარების პრაქტიკული შედეგების მქონე სამეცნიერო-ტექნოლოგიურ კურიკულუმებთან ეფექტიან ინტეგრირებას და ამავე დროს მასწავლებლებისა და სხვა პროფესიონალებისთვის შესაძლებლობების შექმნას. ასეთი პარტნიორობა უსდ-ებს საშუალებას აძლევს არა მხოლოდ ფეხი აუწყონ მუდმივად ცვალებად სამყაროს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ადგილობრივ და გლობალურ ცოდნის ეკონომიკაში.

1.3.1 კვლევითი შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო თანამშრომლობით

საქართველოს უსდ-ების კვლევითი შესაძლებლობების ზრდა (მთავარი სარგებელი). ისეთი პროგრამები, როგორიცაა ჰორიზონტი ევროპა და Erasmus+, საქართველოს უნივერსიტეტებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან ევროკავშირის დაფინანსება ერთობლივ კვლევით პროექტებს, მათ შორის ევროკავშირის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, უჭერს მხარს. ეს პარტნიორობა ხსნის წვდომას უახლეს კვლევით და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურასა და მეთოდებზე, რომელთა დამოუკიდებლად განვითარებაც საქართველოს უსდ-ებს შესაძლოა ვერ შეძლებოდათ (Bich Khuyen Dinh et al., 2023).

გლობალური გამოწვევების დასაძლევად თანამშრომლობა და ერთობლივი კვლევა ქართველ მკვლევრებს კლიმატის ცვლილების, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ციფრული ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. იდეების, მონაცემებისა და ცოდნის გაზიარება ზრდის აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების ხარისხს და საქართველოს უსდ-ების ხილვადობას გლობალურ კვლევით საზოგადოებაში. ასეთი თანამშრომლობა მკვლევრებს სწავლისა და ქსელების განვითარების უნარსაც უძლიერებს, რაც მომავალი კვლევების წარმართვისთვის აუცილებელია.

1.3.2 სასწავლო პროგრამების განვითარება და აკადემიური ინოვაცია

საერთაშორისო თანამშრომლობას საქართველოს უსდ-ების კურიკულუმების მოდერნიზაციაში მნიშვნელოვანი როლი აქვს. ევროკავშირის ინსტიტუტებს შეუძლიათ საქართველოს უნივერსიტეტებს პროგრამებში ახალი აკადემიური

ტენდენციების, ტექნოლოგიებისა და ინტერდისციპლინური მიდგომების დანერგვაში დაეხმაროს. ამგვარად, საგანმანათლებლო მასალა ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური შრომის ბაზრების ცვალებად საჭიროებებთან შესაბამისობას ინარჩუნებს.

ეს შეიძლება მოხდეს კურიკულუმების ერთობლივი შემუშავებით, როგორც Erasmus+-ის პროექტებში, სადაც საქართველოსა და ევროპის დაწესებულებები ერთად ქმნის კურსებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებს ინარჩუნებს და ამავე დროს ადგილობრივ პირობებს შეესაბამება. ამ აკადემიურმა გაცვლამ საქართველოს უსდ-ებს სწავლების თანამედროვე მეთოდების, მათ შორის პრობლემაზე დაფუძნებული სწავლისა და ციფრულად ინტეგრირებული საგანმანათლებლო რესურსების, დანერგვის საშუალება მისცა. ეს, თავის მხრივ, მთლიან საგანმანათლებლო სისტემას აუმჯობესებს და ხელს უწყობს უკეთ განათლებული სტუდენტების ჩამოყალიბებას, რომლებიც XXI საუკუნის სამუშაო ძალისთვის სრულად არიან მზად (Fumasoli and Rossi, 2021).

გარდა ამისა, იქმნება ერთობლივი აკადემიური პროგრამები ახალ სფეროებში, როგორიცაა ხელოვნური ინტელექტი, განახლებადი ენერგია და მდგრადი განვითარება (Korzeb et al., 2024). ეს ინოვაციური პროგრამები იზიდავს უცხოელ სტუდენტებსა და პერსონალს და საქართველოს უსდ-ების გლობალურ ხილვადობას ზრდის.

1.3.3 პერსონალის პროფესიული განვითარება და ტრენინგი

გარე სამყაროსთან კავშირების გაძლიერება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კვლევისა და სასწავლო პროგრამებისთვის, არამედ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების შესანიშნავ შესაძლებლობასაც ქმნის. ევროკავშირის მრავალი პროგრამა პერსონალის მობილობას უზრუნველყოფს, მაგალითად გაცვლითი პროგრამების, ტრენინგების ან ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ერთობლივი სასწავლო ინიციატივების მეშვეობით (Leotta and Tutino, 2022; Soulé and Kakoulli Constantinou, 2024).

ეს ქართველ პედაგოგებს საშუალებას აძლევს ეწვიონ ევროპელ კოლეგებს და გაეცნონ განათლების, სტუდენტთა მოზიდვისა და ორგანიზაციული განვითარების ახალ მიდგომებს. თანამშრომლებს შეუძლიათ ჩაერთონ, მაგალითად, ციფრული ტრანსფორმაციის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ინტერნაციონალიზაციის ტრენინგებში — ეს სამი მთავარი კომპონენტი საქართველოს უსდ-ების მოდერნიზაციისთვის აუცილებელია. ქართველი თანამშრომლები ასევე შეისწავლიან ევროპელი პარტნიორების საუკეთესო პრაქტიკას, შეძლებენ საკუთარ დაწესებულებებში ინოვაციური იდეების

დანერგვას და სწავლების, ადმინისტრაციული საქმიანობისა და სტუდენტური სერვისების სტანდარტის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობა ქმნის მენტორობის შესაძლებლობებს და ქართველ თანამშრომლებს აძლევს გამოცდილ ევროპელ მეცნიერებთან კვლევით და საგანმანათლებლო პროგრამებზე პრაქტიკული მუშაობის საშუალებას. ეს მენტორობა ხელს უწყობს გრძელვადიან ქსელებს, ცოდნის გადაცემასა და საქართველოში მაღალკვალიფიციური უმაღლესი განათლების პროფესიონალების მომავალი ნაკადის ჩამოყალიბებას.

1.3.4 გლობალური ქსელებისა და შესაძლებლობების გაფართოება

გლობალური აკადემიური ქსელების გაფართოება საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი ყველაზე შორს მიმავალი უპირატესობა შეიძლება იყოს (Şahin et al., 2024). საქართველოს უსდ-ებს უფრო ფართო აკადემიურ სამყაროსთან უფრო ეფექტიანად დაკავშირება შეეძლებათ, ხოლო ევროკავშირის უსდ-ებთან თანამშრომლობა მათ ხილვადობას გაზრდის. ეს ქსელები არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების გადასაცემად, არამედ კვლევითი ბიუჯეტების, სასწავლო ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების მსგავსი რესურსების გასაზიარებლადაც მნიშვნელოვანია.

საერთაშორისო თანამშრომლობა ქართველ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს გლობალურ აკადემიურ ღონისძიებებში, მათ შორის კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და კვლევით სიმპოზიუმებში მონაწილეობის შესაძლებლობასაც აძლევს. ეს გამოცდილება აძლიერებს საქართველოს უსდ-ების, როგორც წამყვანი აკადემიური და ინოვაციური ცენტრების, ხილვადობას და ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობასა და კვლევითი დაფინანსების მოზიდვას.

ევროკავშირის ინსტიტუტებთან თანამშრომლობა საქართველოს უსდ-ებს გლობალურ გამოწვევებში რთავს და კრიტიკული საკითხების გადაწყვეტაში ხმის გაჟღერების საშუალებას აძლევს. კლიმატის ცვლილების ერთობლივი კვლევიდან სოციალურ ინკლუზიაზე მიმართულ ინიციატივებამდე, საქართველოს უნივერსიტეტები მუშაობენ პრობლემებზე, რომლებიც ადგილობრივი თემებიდან გლობალურ მასშტაბამდე ვრცელდება. გლობალური ჩართულობა სარგებელს აძლევს როგორც აკადემიურ საზოგადოებას, ისე საქართველოს, როგორც მომავალზე ორიენტირებულ და მსოფლიოში ინტეგრირებულ ქვეყანას.

1.4 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმდინარე მდგომარეობა

ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა მნიშვნელოვნად განახლდა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად და ევროპულ სტანდარტებთან შესათანხმებლად. ძირითადი

რეფორმები ხარისხის უზრუნველყოფისთვის EQF-ისა და ESG-ის დანერგვაზე იყო ორიენტირებული. ამ ჩარჩოებმა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გადახედვას მიმართულება მისცა და განახლებული აკრედიტაციის მექანიზმები დანერგა, რითაც გამჭვირვალობა და სწავლის შედეგებზე, დასაქმებასა და კვლევით შედეგებზე ფოკუსირება უზრუნველყო. 2019 წელს განახლებული ჩარჩოს მიღება მნიშვნელოვანი ეტაპი იყო, რომელმაც ინსტიტუციური ანგარიშვალდებულება გააძლიერა და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სანდოობა მსოფლიო ასპარეზზე გაზარდა.

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამები, როგორიცაა Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა, ეფექტიანად აძლიერებს საქართველოს უსდ-ების ოპერაციულ და აკადემიურ შესაძლებლობებს. ისინი შესაძლებელს ხდის სასწავლო პროგრამების განახლებას, ინოვაციური სწავლების მეთოდებისა და მოწინავე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას, მათ შორის დისტანციური სწავლების პლატფორმების, ვირტუალური ლაბორატორიებისა და ბლოკჩეინზე დაფუძნებული აკრედიტაციის სისტემების. პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობას, ინტერდისციპლინურ კვლევასა და მმართველობის რეფორმებს და საქართველოს უნივერსიტეტებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში კონკურენტუნარიან მონაწილეებად აყალიბებს. გამოწვევები მაინც რჩება: ციფრული ინფრასტრუქტურის ხარვეზები, განსაკუთრებით სოფლად, ზღუდავს თანაბარ წვდომას, ხოლო ევროკავშირის ჩარჩოების ქართულ საჭიროებებზე მორგება უწყვეტ ძალისხმევას მოითხოვს. საქართველოს უსდ-ები ამ ხარვეზების შესავსებად საერთაშორისო პარტნიორობებსა და ევროკავშირის რესურსებს იყენებენ. ინოვაციების, ხარისხის უზრუნველყოფისა და გლობალური ქსელების გაძლიერებით ისინი ეროვნული განვითარების მდგრად და გავლენიან კატალიზატორებად ყალიბდებიან.

1.5 წარმატებული ევროპული მოდელების გამოცდილების გაზიარება

მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (TUM), გერმანია

TUM-მა ევროკავშირის რესურსები წარმატებით გამოიყენა, რათა კვლევისა და ინოვაციის წამყვანი დაწესებულება გამხდარიყო. მისი ერთ-ერთი გამორჩეული პროექტია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Graphene Flagship — გრაფენისა და მასთან დაკავშირებული მასალების მსოფლიოში ყველაზე დიდი კვლევითი ინიციატივა. პროექტმა TUM-ის კვლევითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააძლიერა და მასალათმცოდნეობასა და ტექნოლოგიაში მრავალ გარღვევას შეუწყო ხელი. ასეთი მაღალი გავლენის მქონე ევროკავშირის პროექტებში მონაწილეობით TUM-მა არა მხოლოდ კვლევითი შედეგები გააუმჯობესა, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობა და რეპუტაციაც გააძლიერა. ეს წარმატების

მაგალითი აჩვენებს, როგორ ეხმარება ევროკავშირის რესურსები უნივერსიტეტებს სრულყოფილების მიღწევასა და ინოვაციის წარმართვაში.

უდინის უნივერსიტეტი, იტალია

უდინის უნივერსიტეტი ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) უსდ-ების ინიციატივაში მონაწილეობდა. უნივერსიტეტმა სამეწარმეო და ინოვაციური შესაძლებლობების გასაუმჯობესებელი სამოქმედო გეგმების შესაქმნელად და განსახორციელებლად დაფინანსება და მხარდაჭერა მიიღო. ამან მას ადგილობრივი ინოვაციური ეკოსისტემების შექმნის, აკადემიურ სფეროს, ინდუსტრიასა და კვლევით დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობისა და რეალური ინსტიტუციური ცვლილების მიღწევის საშუალება მისცა. უდინის უნივერსიტეტის წარმატება აჩვენებს, როგორ შეუძლია ევროკავშირის რესურსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა, რაც საბოლოოდ როგორც დაწესებულებებს, ისე ფართო საზოგადოებას მოუტანს სარგებელს.

ეინდჰოვენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (TU/e), ნიდერლანდები

TU/e ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სხვადასხვა პროექტში, მათ შორის ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (EIT) უსდ-ების ინიციატივაში, მონაწილეობდა. EIT-ის უსდ-ების ინიციატივით TU/e-მ ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების გასაძლიერებლად დაფინანსება და მხარდაჭერა მიიღო. ამან უნივერსიტეტს ინდუსტრიასთან, კვლევით დაწესებულებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძლიერი პარტნიორობის ჩამოყალიბებისა და დინამიკური ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების საშუალება მისცა. უნივერსიტეტმა სტუდენტებსა და პერსონალში მეწარმეობის ხელშემწყობი სამოქმედო გეგმებიც დანერგა, რამაც მრავალი სტარტაპისა და სპინ-ოფის შექმნა გამოიწვია.

ლუნდის უნივერსიტეტი.

ლუნდის უნივერსიტეტი მონაწილეობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ მრავალ პროექტში, მათ შორის ჰორიზონტი 2020-ის ჩარჩო პროგრამასა და ევროპის რეგიონული განვითარების ფონდში (ERDF). ამ რესურსებით უნივერსიტეტმა განავითარა და გააძლიერა კვლევითი შესაძლებლობები და ინოვაციური ინიციატივები. მან ასევე ხელი შეუწყო თანამშრომლობას სხვადასხვა ინდუსტრიულ პარტნიორთან, კვლევით ორგანიზაციასა და ევროპის უნივერსიტეტებთან. შედეგად შეიქმნა მოწინავე ტექნოლოგიები და ინოვაციური გადაწყვეტილებები, რამაც უნივერსიტეტის რეპუტაცია და გავლენა გაზარდა.

დანიის ტექნიკური უნივერსიტეტი (DTU)

DTU-მ დიდი წარმატებით მოიპოვა ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების დაფინანსება, განსაკუთრებით ჰორიზონტი ევროპის პროგრამის მეშვეობით. 2022 წლიდან DTU-მ ევროკავშირის დაფინანსება 314 პროექტისთვის მოითხოვა; თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი გლობალური კლიმატისა და ენერგომომარაგების გამოწვევებზე მიმართულ პროექტებს მოხმარდა. მაგალითად, DTU-ს TURBO პროექტი ქარის ტურბინის ფრთების უფრო მდგრად წარმოებას იკვლევს.

ევროკავშირის დაფინანსების მოპოვებაში DTU-ს წარმატება აჩვენებს დაწესებულების ძლიერ კვლევით შესაძლებლობებსა და მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემების გადაწყვეტისადმი ერთგულებას. მხარდაჭერამ DTU-ს კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობისა და სამეცნიერო პროგრესში წვლილის შეტანის შესაძლებლობა მისცა.

მოდული 2. ოპერაციული ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის სტანდარტების მეშვეობით

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა და ევროკავშირის განათლების სტანდარტებთან შესაბამისობისთვის საქართველოს უსდ-ებმა ოპერაციული ხარისხი უნდა გაზარდონ და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის გაცვლისა და კვლევის პროცესები გაითვალისწინონ. ევროკავშირი აქვეყნებს ჩარჩოებს, ინსტრუმენტებსა და ტრენინგ პროგრამებს, რომლებიც უმაღლეს განათლებაში გახსნილობას, მობილობასა და ციფრულ ინტეგრაციას აუმჯობესებს. ისინი საქართველოს უსდ-ებს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო სტრუქტურების რეფორმაში, პერსონალის პროფესიული და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სტუდენტთა კვალიფიკაციების ეროვნულ, ევროპულ და უფრო ფართო შრომის ბაზრებზე აღიარებაში ეხმარება (Manatos et al., 2017). ცხრილი 1 აჩვენებს ევროკავშირის ძირითად ჩარჩოებს, ციფრულ ინსტრუმენტებსა და ტრენინგ პროგრამებს, რომლებიც საქართველოს უსდ-ების ოპერაციულ ხარისხსა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას ზრდის.

ცხრილი 1. ევროკავშირის სტანდარტებით საქართველოს უსდ-ების ოპერაციული ხარისხის გაუმჯობესების კომპონენტები

ძირითადი სფეროები	აღწერა	სარგებელი საქართველოს უსდ-ებისთვის

ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დანერგვა	საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ დანერგონ ისეთი ჩარჩოები, როგორიცაა EQAR, ECTS და EQF, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის, საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისა და კვალიფიკაციების აღიარების უზრუნველსაყოფად.	• **EQAR:** უზრუნველყოფს ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას. **ECTS:** ხელს უწყობს აკადემიურ მობილობასა და კრედიტების **ტრანსფერს.** EQF: ზრდის კვალიფიკაციების შედარებადობას.
ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR)	EQAR არის რეესტრი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს უსდ-ების მიერ ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში (EHEA) აღიარებული ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების დაცვას და ხელს უწყობს ნდობასა და გამჭვირვალობას.	ხელს უწყობს საზღვრებს მიღმა თანამშრომლობას და უცხოელ სტუდენტებს საქართველოში განათლების ხარისხის მიმართ ნდობას უმყარებს.
კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS)	ECTS კრედიტების ტრანსფერს სტანდარტიზებს და საქართველოს უსდ-ებს ევროპულ ინსტიტუტებთან თავსებადი პროგრამების შექმნის საშუალებას აძლევს. ეს ხელს უწყობს სტუდენტთა მობილობასა და აკადემიურ მოქნილობას.	კრედიტების შეუფერხებელი ტრანსფერი საქართველოსა და ევროპის ინსტიტუტებს შორის, რაც აუმჯობესებს სტუდენტთა გამოცდილებას და უცხოელი სტუდენტებისთვის მიმზიდველობას.
კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო (EQF)	EQF ევროპაში კვალიფიკაციებს სტანდარტიზებს და აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების შედარებასა და აღიარებას ამარტივებს.	კვალიფიკაციების მეტი გამჭვირვალობა და აღიარება, რაც კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და საერთაშორისო მობილობას აძლიერებს.
ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტები	ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები, როგორიცაა Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა, უზრუნველყოფს წვდომას	• დისტანციური სწავლება: აფართოებს განათლებაზე წვდომას, ამცირებს ხარჯებს და შეფერხებებისას

	ციფრულ ინსტრუმენტებზე, რომლებიც აუმჯობესებს დისტანციურ სწავლებას, ონლაინ შეფასებასა და მონაცემთა ანალიტიკას და აძლიერებს როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ ფუნქციებს.	უწყვეტობას უზრუნველყოფს. • მონაცემთა ანალიტიკა: აუმჯობესებს გადაწყვეტილებების მიღებასა და ოპერაციულ ეფექტიანობას.
დისტანციური სწავლება და ონლაინ შეფასება	Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის მიერ მხარდაჭერილი ციფრული პლატფორმები საქართველოს უსდ-ებს დისტანციური ლექციების, ვირტუალური აუდიტორიებისა და ონლაინ შეფასების დანერგვის საშუალებას აძლევს, რაც განათლებას უფრო ხელმისაწვდომსა და მოქნილს ხდის.	ზრდის ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობას, ამცირებს ფიზიკური ინფრასტრუქტურის ხარჯებს და აფართოებს საქართველოს უსდ-ების გლობალურ მასშტაბს.
მონაცემთა ანალიტიკა ადმინისტრაციული ეფექტიანობისთვის	ჰორიზონტი ევროპის დაფინანსება უსდ-ებს საშუალებას აძლევს, მონაცემთა ანალიტიკა გამოიყენონ ჩარიცხვების მართვის, სტუდენტთა მონიტორინგისა და რესურსების განაწილებისთვის, გაამარტივონ ოპერაციები და ხელი შეუწყონ მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს.	უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, აუმჯობესებს სტუდენტურ სერვისებს და ზრდის ოპერაციულ გამჭვირვალობას.
ტრენინგი და სერტიფიცირება	პერსონალის განვითარების პროგრამები, როგორიცაა DigCompEdu და EntreComp, აძლიერებს ციფრულ და სამეწარმეო კომპეტენციებს და უზრუნველყოფს ქართველი	• DigCompEdu: ავითარებს ციფრული სწავლების უნარებს. • EntreComp: ხელს უწყობს მეწარმეობასა და ინოვაციებს

	პედაგოგების მზადყოფნას თანამედროვე განათლების მოთხოვნებისთვის.	უნივერსიტეტში და სტუდენტებს გლობალური სამუშაო ძალის გამოწვევებისთვის ამზადებს.
DigCompEdu (მასწავლებელთა ციფრული კომპეტენციის ევროპული ჩარჩო)	ევროკავშირის ეს ჩარჩო აძლიერებს პედაგოგთა ციფრულ კომპეტენციას და ხელს უწყობს ტექნოლოგიების ინტეგრირებას სწავლებისა და სწავლის გარემოში, რათა გაიზარდოს სტუდენტთა ჩართულობა და ონლაინ თანამშრომლობა.	უზრუნველყოფს, რომ პერსონალმა ციფრული ინსტრუმენტები ეფექტიანად გამოიყენოს სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გასაუმჯობესებლად, რაც საქართველოს უსდ-ებს ციფრული განათლების სივრცეში კონკურენტუნარიანობას უნარჩუნებს.
EntreComp (სამეწარმეო კომპეტენცია)	EntreComp ავითარებს როგორც პედაგოგების, ისე სტუდენტების სამეწარმეო უნარებს და ხელს უწყობს კრეატიულობას, ინოვაციებსა და პრობლემების გადაჭრას, როგორც XXI საუკუნის აუცილებელ უნარებს.	ავითარებს სამეწარმეო კულტურას და საქართველოს უსდ-ებს ინოვაციებისა და პრობლემების გადაჭრის ლიდერებად წარმოაჩენს.

2.1 ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დანერგვა

ოპერაციული ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოს უსდ-ებს საკუთარ სისტემებში ევროკავშირის რამდენიმე ძირითადი ჩარჩოს ინტეგრირება შეუძლიათ. მათ შორის გამორჩეულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი (EQAR), კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო (EQF).

- **ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული რეესტრი** (EQAR): EQAR ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების რეესტრია და ხელს უწყობს ნდობასა და გამჭვირვალობას (Hauptman Komotar, 2018; Veiga, 2023). EQAR-ში მონაწილეობა საქართველოს უსდ-ებს ეხმარება შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ევროპაში აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში. ეს

აადვილებს საზღვრებს მიღმა აკადემიურ თანამშრომლობას და უცხოელ სტუდენტებსა და დაწესებულებებს უდასტურებს, რომ საქართველოში განათლების ხარისხი ევროპულ ნორმებს შეესაბამება.

- **კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული** სისტემა (ECTS): ECTS არის სტანდარტი, რომელიც აკადემიური კვალიფიკაციების მთელ ევროპაში აღიარებას, სტუდენტთა მობილობასა და აკადემიურ მოქნილობას უზრუნველყოფს (Gleeson et al., 2021). ECTS-ის დანერგვით საქართველოს უსდ-ების პროგრამები უფრო თავსებადი ხდება ევროპულ ინსტიტუტებთან და ევროკავშირის უნივერსიტეტებს შორის კრედიტების შეუფერხებელი ტრანსფერი შესაძლებელია. ეს აუმჯობესებს სტუდენტთა გამოცდილებას და საქართველოს დაწესებულებებს საერთაშორისო გაცვლითი სტუდენტებისთვის უფრო მიმზიდველს ხდის.
- **კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო** (EQF): EQF ევროპაში კვალიფიკაციებს სტანდარტიზებს და მოსწავლეებსა და დამსაქმებლებს აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციების შედარებასა და გაგებას უადვილებს (Andrea et al., 2024). EQF-ის დანერგვა საქართველოს უსდ-ების კვალიფიკაციებს უფრო გამჭვირვალესა და ევროპულ ინსტიტუტებთან შედარებადს ხდის და ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას. იგი ასევე ხელს უწყობს ქართული კვალიფიკაციების ევროკავშირის ქვეყნებში აღიარებას და კურსდამთავრებულთა საერთაშორისო მობილობას.

საერთო ჯამში, ეს ჩარჩოები საქართველოში უფრო ინტეგრირებულ და თანმიმდევრულ უმაღლესი განათლების სივრცეს ქმნის და დაწესებულებებს ევროპულ აკადემიურ გაცვლებსა და კვლევით თანამშრომლობაში მონაწილეობას უადვილებს. ისინი სტუდენტებსა და დამსაქმებლებს ასევე არწმუნებს, რომ საქართველოს უსდ-ებში შეთავაზებული განათლება მკაცრ, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს აკმაყოფილებს.

2.2 ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტები

ციფრული ინსტრუმენტების ინტეგრირება კიდევ ერთი ძირითადი სფეროა, სადაც საქართველოს უსდ-ებს ევროკავშირის რესურსებით ოპერაციული ხარისხის გაუმჯობესება შეუძლიათ. Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის მსგავსი ევროკავშირის დაფინანსების ინიციატივებით საქართველოს დაწესებულებები მოწინავე ციფრულ ინსტრუმენტებზე წვდომას იღებს, რომლებიც როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ ფუნქციებს ძირეულად ცვლის.

- **დისტანციური სწავლება და** ონლაინშეფასებები: COVID-19-ის პანდემიამ უმაღლეს განათლებაში დისტანციური სწავლების ინფრასტრუქტურის აუცილებლობა გამოავლინა (Mercy et al., 2023). Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის მხარდაჭერით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ ონლაინგანათლების უახლესი პლატფორმების დანერგვა, რომლებიც დისტანციურ ლექციებს, ინტერაქტიულ ვირტუალურ აუდიტორიებსა და ონლაინშეფასებებს უზრუნველყოფს. ეს ინსტრუმენტები არა მხოლოდ ზრდის ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიურობას, არამედ ამცირებს ფიზიკურ ობიექტებთან დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებს. ასეთი პლატფორმები შეფერხებების დროს განათლების უწყვეტობას უზრუნველყოფს და სწავლების შესაძლებლობებს გლობალური აუდიტორიისთვის აფართოებს.
- **მონაცემთა ანალიტიკა ადმინისტრაციული** ეფექტიანობისთვის: სწავლებისა და სწავლის გარდა, ევროკავშირის პროგრამები მონაცემთა ანალიტიკის მეშვეობით ადმინისტრაციული ოპერაციების გასაუმჯობესებელ ინსტრუმენტებსაც სთავაზობს. ჰორიზონტი ევროპის დაფინანსება უსდ-ებს ეხმარება ჩარიცხვების მართვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისა და რესურსების განაწილების სისტემების დანერგვაში. ანალიტიკა უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს, სტუდენტური სერვისების ოპტიმიზაციასა და ოპერაციულ გამჭვირვალობას (Qing and Wang, 2021). ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტებით საქართველოს დაწესებულებებს შეუძლიათ უფრო ეფექტიანად იმუშაონ, უკეთესი სერვისები შესთავაზონ სტუდენტებს და სწრაფად ცვალებად გლობალურ განათლების ბაზარზე კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნონ.

ამ ციფრული ინსტრუმენტების დანერგვა უფრო მოქნილ და ადაპტირებად საგანმანათლებლო გარემოს ქმნის და საქართველოს უსდ-ებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ სწავლებისა და ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდები, რომლებიც მთელ ევროპაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება.

2.3 ტრენინგი და სერტიფიცირება

ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოებისა და ციფრული ინსტრუმენტების დანერგვასთან ერთად საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ოპერაციული ხარისხი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ციფრულ და სამეწარმეო კომპეტენციების ტრენინგებში ჩართვით. ევროკავშირი სთავაზობს რამდენიმე შესაბამის პროგრამას, რომელთა პირდაპირ გამოყენებაც შესაძლებელია საქართველოს უმაღლესი განათლების კონტექსტში.

- **DigCompEdu (მასწავლებელთა ციფრული** კომპეტენციის ევროპული ჩარჩო): DigCompEdu ევროკავშირმა პედაგოგთა ციფრული კომპეტენციის მხარდასაჭერად შეიმუშავა (Haşlaman et al., 2024). ტრენინგებში მონაწილეობით საქართველოს აკადემიური პერსონალი სწავლებისა და სწავლის გარემოში ციფრული ინსტრუმენტების გამოყენების უნარს აუმჯობესებს. ეს მოიცავს ტექნოლოგიების ეფექტიან ინტეგრირებას სასწავლო პროგრამებში, სტუდენტთა ჩართულობისთვის ციფრული რესურსების გამოყენებასა და თანამშრომლობით ონლაინ სწავლებას. ციფრული კომპეტენცია აუცილებელია, რათა საქართველოს უსდ-ებმა თანამედროვე, მაღალი ხარისხის განათლება შესთავაზონ ტექნოლოგიურად მომზადებულ სტუდენტებს.
- **EntreComp (სამეწარმეო** კომპეტენცია): EntreComp ევროკავშირის კიდევ ერთი ჩარჩოა, რომელიც პედაგოგებსა და სტუდენტებში სამეწარმეო უნარების განვითარებას ემსახურება. იგი ხაზს უსვამს კრეატიულობას, ინოვაციასა და პრობლემების გადაჭრას — XXI საუკუნის სამუშაო ძალისთვის სულ უფრო მნიშვნელოვან კომპეტენციებს (Ferreras-Garcia et al., 2021). EntreComp-ის ტრენინგების პერსონალის განვითარების პროგრამებში ჩართვით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ მეწარმეობისა და ინოვაციების კულტურის ჩამოყალიბება. ეს სტუდენტებს გლობალური ეკონომიკისთვის ამზადებს და უსდ-ებს საზოგადოებრივი პროგრესის ხელშემწყობი ახალი იდეებისა და გადაწყვეტილებების ინკუბატორებად წარმოაჩენს.

DigCompEdu-სა და EntreComp-ში განსაზღვრული უნარებით პედაგოგების აღჭურვით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ მათი აკადემიური პერსონალი მზად იყოს მაღალი ხარისხის, მომავალზე ორიენტირებული განათლებისთვის. ეს ტრენინგები აყალიბებს უწყვეტ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ინსტიტუციურ კულტურას და პერსონალსა და სტუდენტებს სწრაფად ცვალებად აკადემიურ და პროფესიულ გარემოში განვითარების საშუალებას აძლევს.

ევროკავშირის სტანდარტების დანერგვით, ციფრული ტრანსფორმაციის ინსტრუმენტების გამოყენებითა და პერსონალის ტრენინგსა და სერტიფიცირებაში ინვესტირებით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ ოპერაციული ხარისხი. ეს ძალისხმევა არა მხოლოდ ევროპულ სტანდარტებთან აახლოებს საქართველოს დაწესებულებებს, არამედ მათ გლობალურ კონკურენტუნარიანობასაც ზრდის. გაუმჯობესებული ოპერაციული ხარისხი საბოლოოდ გამოიწვევს უფრო დიდ აკადემიურ წარმატებას, სტუდენტთა უკეთეს შედეგებსა და ძლიერ საერთაშორისო თანამშრომლობას და საქართველოს

უმაღლეს განათლებას ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მნიშვნელოვან მონაწილედ აქცევს.

2.4 ევროკავშირის ხარისხის სტანდარტები და მათი გავლენა აკრედიტაციაზე

ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების მიღება საქართველოს უსდ-ების აკრედიტაციის პროცესზე ღრმა გავლენას ახდენს. ევროკავშირის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისი აკრედიტაცია უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები სრულყოფილების საერთაშორისოდ აღიარებულ ნიშნულებს აკმაყოფილებდეს, რაც მსოფლიო ასპარეზზე საქართველოს უნივერსიტეტების სანდოობას, აღიარებასა და საერთო კონკურენტუნარიანობას აუმჯობესებს. ეს ნაწილი განიხილავს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამის აკრედიტაციის პროცესს, მის როლს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდაში და იმ აუცილებელ ადაპტაციას, რომელიც საქართველოს დაწესებულებებმა ამ სახელმძღვანელოებთან შესათანხმებლად უნდა განახორციელონ (Degn et al., 2023).

2.4.1 ევროკავშირის აკრედიტაციის ჩარჩოს გააზრება

ევროკავშირში აკრედიტაცია ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG), რომლებიც ბოლონიის პროცესის ფარგლებში შემუშავდა. ESG არის კრიტერიუმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ევროპის უსდ-ებმა მაღალი ხარისხის განათლება შესთავაზონ, დაიცვან გამჭვირვალობა და ხელი შეუწყონ უწყვეტ გაუმჯობესებას (Kohoutek et al., 2018). ჩარჩოს ახორციელებენ ეროვნული და საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები, რომელთაგან ბევრი EQAR-შია რეგისტრირებული (Sánchez-Chaparro et al., 2022).

2.4.2 საქართველოს უსდ-ების აკრედიტაციის პროცესი

საქართველოს უსდ-ებისთვის ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების შესაბამისი აკრედიტაციის პროცესი იწყება საგანმანათლებლო პროგრამებისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ESG ჩარჩოსთან მორგებით. ჩვეულებრივ, იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

1. **თვითშეფასება:** დაწესებულებები საკუთარი შიდა პროცესების, მათ შორის სწავლების მეთოდების, სწავლის შედეგების, კვლევითი საქმიანობისა და მმართველობის სტრუქტურების ყოვლისმომცველ თვითშეფასებას ატარებს. ეს ანალიზი გამოავლენს სფეროებს, რომლებიც ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს, და სფეროებს, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს.

2. **აკრედიტაციის განაცხადის წარდგენა:** თვითშეფასების შემდეგ დაწესებულებები აკრედიტაციის განაცხადს აღიარებულ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოში, ხშირად EQAR-ში რეგისტრირებულ სააგენტოში, წარადგენს. განაცხადი მოიცავს დეტალურ ანგარიშებს ინსტიტუციური პროცესების, კურიკულუმების, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციების, სტუდენტთა შედეგებისა და მმართველობის პრაქტიკის შესახებ.

3. **გარე შეფასება:** გარე ექსპერტთა ჯგუფი, ხშირად საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით, დაწესებულებას ადგილზე აფასებს. ჯგუფი ამოწმებს ESG-ის სტანდარტებთან შესაბამისობას და დაწესებულების უნარს, შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება და ჩაატაროს საერთაშორისოდ აღიარებული კვლევა.

4. **აკრედიტაციის** გადაწყვეტილება: შეფასების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ. სტანდარტების დამაკმაყოფილებელი დაწესებულებები იღებენ აკრედიტაციას, ხოლო ნაკლოვანებების მქონე დაწესებულებებს შესაძლოა მიენიჭოთ პირობითი აკრედიტაცია გაუმჯობესების პირობებით.

5. **უწყვეტი მონიტორინგი და რეაკრედიტაცია:** აკრედიტაცია ერთჯერადი პროცესი არ არის; დაწესებულებებმა რეგულარულად უნდა გაიარონ რეაკრედიტაცია, რათა ხარისხის სტანდარტებთან მუდმივი შესაბამისობა უზრუნველყონ. უწყვეტი გაუმჯობესება ძირითადი პრინციპია და საქართველოს უსდ-ებს მკაცრი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შენარჩუნებას ავალდებულებს.

2.4.3 გავლენა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე

ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად აკრედიტაციის მიღება მნიშვნელოვნად აძლიერებს საქართველოს უსდ-ების საერთაშორისო პოზიციას. აკრედიტაცია მომავალ სტუდენტებს, პერსონალსა და საერთაშორისო პარტნიორებს არწმუნებს, რომ დაწესებულება აკმაყოფილებს აკადემიური და ოპერაციული ხარისხის მაღალ სტანდარტებს (Kumar et al., 2020). ამას საერთაშორისო კონკურენტუნარიანობისთვის რამდენიმე შედეგი აქვს:

- **სტუდენტთა გაზრდილი მობილობა:** აკრედიტებული დაწესებულებები უფრო მიმზიდველი ხდება საერთაშორისო სტუდენტებისთვის, რომლებიც გლობალურად აღიარებულ კვალიფიკაციებს ეძებენ. აკრედიტაცია ასევე ამარტივებს კრედიტების გადატანას, რაც სტუდენტებს ევროპის უმაღლესი

განათლების სივრცეში დაწესებულებებს შორის უფრო მარტივად გადაადგილების საშუალებას აძლევს.

- **პერსონალის უკეთესი შერჩევა:** აკრედიტაცია იზიდავს მაღალკვალიფიციურ საერთაშორისო აკადემიურ პერსონალს დაწესებულებებში, რომლებიც მაღალი ხარისხის განათლებასა და კვლევით ინფრასტრუქტურას სთავაზობს.
- **გაძლიერებული კვლევითი** თანამშრომლობა: აკრედიტებული დაწესებულებები უფრო ხშირად აყალიბებენ პარტნიორობას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან და ახორციელებენ ერთობლივ პროექტებს, რომლებიც გლობალურ ცოდნასა და ინოვაციებში წვლილს შეიტანს.
- **დაფინანსებაზე უკეთესი** წვდომა: აკრედიტებულ დაწესებულებებს მეტი ევროკავშირის გრანტისა და დაფინანსების შესაძლებლობა აქვს, მათ შორის ჰორიზონტი ევროპასა და Erasmus+-ში, რომლებიც უპირატესობას ანიჭებს მაღალი ხარისხისა და დადასტურებული წარმატების მქონე დაწესებულებებს.

2.4.4 ადგილობრივი ადაპტაცია საქართველოს უსდ-ებისთვის

ევროკავშირის აკრედიტაციის სტანდარტებთან წარმატებით შესათანხმებლად საქართველოს უსდ-ებმა ზოგიერთი ადგილობრივი პრაქტიკა ESG-ის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ. ძირითადი ადაპტაცია მოიცავს:

- **სასწავლო პროგრამების** მოდერნიზაცია: უსდ-ებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროგრამები პასუხობდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებს. გლობალიზებულ სამყაროში რელევანტურობის შესანარჩუნებლად ხშირად საჭიროა ინტერდისციპლინური მიდგომები, პრობლემებზე დაფუძნებული სწავლა და განახლებული მეთოდები.
- **მმართველობის** რეფორმები: ევროკავშირის აკრედიტაცია დიდ ყურადღებას უთმობს ინსტიტუციურ მმართველობას. საქართველოს უსდ-ებს შეიძლება დასჭირდეთ ხელმძღვანელობისა და ადმინისტრაციული სტრუქტურების რეფორმა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სტრატეგიული დაგეგმვის გასაზრდელად.
- **კვლევითი შესაძლებლობების** გაძლიერება: საქართველოს უნივერსიტეტებმა უნდა განახორციელონ ინვესტიციები კვლევით ინფრასტრუქტურაში და განავითარონ კვლევითი სრულყოფილების კულტურა. ეს მოიცავს დაფინანსების მოპოვებას, პუბლიკაციების ხარისხის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას.

- **სტუდენტზე ორიენტირებული** სწავლა: ევროკავშირის სტანდარტები სტუდენტთა სწავლის შედეგების მნიშვნელობას უსვამს ხაზს. დაწესებულებები მასწავლებელზე ორიენტირებული მოდელებიდან უფრო მოქნილ, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომებზე უნდა გადავიდნენ, რომლებიც კომპეტენციებზე, კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრის უნარებზეა ფოკუსირებული.

ამგვარი ადაპტაციით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ დააკმაყოფილონ ევროკავშირის აკრედიტაციის მკაცრი მოთხოვნები და გლობალურად კონკურენტუნარიან დაწესებულებებად ჩამოყალიბდნენ.

2.5 თანამედროვე მმართველობა: ინსტიტუციური რეფორმები ევროკავშირის მხარდაჭერით

ბოლო წლებში საქართველოს უსდ-ებმა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური რეფორმები გაიარეს, რომელთაგან ბევრს ევროკავშირის ჩარჩოები და დაფინანსების პროგრამები განაპირობებდა. გამჭვირვალობაზე, ანგარიშვალდებულებასა და სტრატეგიულ ლიდერობაზე დაფუძნებული თანამედროვე მმართველობა აუცილებელია ძლიერი და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. ეს ნაწილი ეხება საქართველოს უნივერსიტეტების მმართველობის რეფორმებს და ევროკავშირის მხარდაჭერის გავლენას ადმინისტრაციულ მოდერნიზაციასა და ლიდერობის ტრენინგზე (Bora and Schramm, 2023). ცხრილი 2 აჩვენებს რეფორმის სფეროებს, ევროკავშირის შესაბამის პროგრამებსა და საქართველოს უსდ-ებისთვის მოსალოდნელ შედეგებს.

ცხრილი 2. ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს უსდ-ებში ინსტიტუციური რეფორმების ძირითადი სფეროები

რეფორმის ძირითადი სფეროები	**აღწერა**	**ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამები**	**მოსალოდნელი გავლენა საქართველოს უსდ-ებზე**
დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების მიღება	ცენტრალიზებული მართვიდან ფაკულტეტების, დეპარტამენტებისა და დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო მონაწილეობაზე გადასვლა.	Erasmus+, ჰორიზონტი ევროპა	ხელს უწყობს უფრო დემოკრატიულ და მოქნილ მართვის მოდელს და ზრდის რეაგირების უნარს.
სტრატეგიული ლიდერობა და ხედვა	ეროვნულ მიზნებსა და ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისი გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმების შემუშავება.	ევროპის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტი (EIT), Erasmus+	უზრუნველყოფს გლობალურ საგანმანათლებლო ბაზრებთან შესაბამისობას და აძლიერებს ინსტიტუციურ განვითარებას.
ფინანსური გამჭვირვალობა და ეფექტიანობა	ბიუჯეტირების, ფინანსური ანგარიშგებისა და რესურსების განაწილების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა.	Erasmus+-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ინიციატივები	ზრდის ფინანსურ მდგრადობას, აუმჯობესებს რესურსების გამოყენებას და იზიდავს ინვესტიციებს.
ადამიანური რესურსების მართვა	პერსონალის შერჩევის, საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების მოდერნიზაცია.	Erasmus+, EIT, ლიდერობის განვითარების პროგრამები	ზრდის პერსონალის მოტივაციას, აუმჯობესებს შერჩევას და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის განვითარებას.
ლიდერობის განვითარების პროგრამები	უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისთვის სტრატეგიული აზროვნების,	Erasmus+, EIT	ლიდერებს ამზადებს ინსტიტუციურ გამოწვევებთან გასამკლავებლად და

	ცვლილებების მართვისა და გლობალური ლიდერობის უნარების ტრენინგი.		ინოვაციების განსახორციელებლად.
ანგარიშვალდებულება და ხარისხის უზრუნველყოფა	ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე სისტემების დანერგვა.	ევროპული სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG), EQAR	ხელს უწყობს უწყვეტ გაუმჯობესებას, ინარჩუნებს მაღალ აკადემიურ სტანდარტებს და უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას.

მოდული 3. ციფრული ტრანსფორმაცია და ტექნოლოგიური ინტეგრაცია საქართველოს უსდ-ებში

COVID-19-ის პანდემიის მსგავსი გლობალური რღვევების შემდეგ უსდ-ების ციფრული ტრანსფორმაცია მოდერნიზაციის აუცილებელ ხელშემწყობ ფაქტორად იქცა (A Papiashvili, 2024). საქართველოს უსდ-ებში ტექნოლოგიების გამოყენება იზრდება, ხშირად ევროკავშირის პროგრამების მხარდაჭერით, რათა გაუმჯობესდეს აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობა და ხარისხი, გადაიჭრას სწავლების მეთოდოლოგიური პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს მსოფლიო ონლაინსასწავლო რესურსებზე წვდომა. საქართველოს უმაღლესი განათლების ახალი მიმართულება მოიცავს დისტანციურ სწავლებას, ვირტუალურ ლაბორატორიებსა და ბლოკჩეინტექნოლოგიას.

3.1 დისტანციური სწავლება: შესაძლებლობები და გამოწვევები

ბოლო ათწლეულში დისტანციური სწავლება თანამედროვე განათლების ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა და მრავალი სარგებელი მოიტანა, რის შედეგადაც მასზე წვდომა იმ სტუდენტებსაც აქვთ, რომლებსაც კამპუსის ტრადიციული რესურსები აკლიათ. საქართველოს ბევრ უსდ-ში დისტანციური სწავლების ინფრასტრუქტურის განვითარებას საფუძვლად დაედო ევროკავშირის პროგრამები, როგორიცაა Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა, რომლებმაც როგორც შესაძლებლობები, ისე გამოწვევები წარმოშვა (Verulava et al., 2023).

შესაძლებლობები დისტანციურ სწავლებაში:

- **გაზრდილი ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა:** დისტანციური სწავლება აუმჯობესებს ხელმისაწვდომობას, რათა განათლების მიღება შეძლონ საქართველოს უკიდურესად დაშორებულ რეგიონებში მცხოვრებმა

სტუდენტებმა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებმაც. მხარდაჭერა გამოიყენება ციფრული პლატფორმების, ონლაინკურსების, საჩვენებელი ლექციებისა და ერთობლივი ინტერაქციის ვირტუალური აუდიტორიების შესაქმნელად. მაგალითად, Erasmus+-მა დააფინანსა შესაძლებლობების განვითარების პროექტები, რომლებიც ახალი ონლაინსასწავლო მასალების ჩართვით საქართველოს უნივერსიტეტების კურიკულუმების განვითარებას და განათლების სისტემის უფრო ყოვლისმომცველად ქცევას დაეხმარა.

- **მოქნილი სასწავლო გარემო:** დისტანციური სწავლება სტუდენტებს სწავლის დროისა და ფორმის არჩევის მოქნილობას აძლევს. იგი განსაკუთრებით შეეფერება არატრადიციულ სტუდენტებს, მათ შორის დასაქმებულებსა და ნახევარ განაკვეთზე მოსწავლეებს. მოქნილობას კიდევ უფრო ზრდის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ერთობლივი ონლაინ ხარისხის პროგრამები, **მაგალითად** საქართველოსა და ევროპის უნივერსიტეტების ორმხრივი პარტნიორობები.

დისტანციური სწავლების გამოწვევები:

- **ციფრული ინფრასტრუქტურისა და** კავშირის პრობლემები: საქართველოს უსდ-ების ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა ციფრული ინფრასტრუქტურისა და კავშირის ნაკლებობაა. სოფლად ბევრ ადამიანს სტუდენტებთან ონლაინ დაკავშირება არ შეუძლია, რაც საგანმანათლებლო პროცესში თანაბარ მონაწილეობას ართულებს. არასაკმარისმა ინვესტიციამ მილიონობით ადამიანი წვდომის გარეშე დატოვა, თუმცა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტები პროგრესს აღწევს და ახალ ინფრასტრუქტურას აფინანსებს (Kosgei et al., 2023).
- **სტუდენტთა ჩართულობა და ინტერაქცია: ვირტუალურ** გარემოში სტუდენტების ჩართულობის შენარჩუნება ადვილი არ არის. დისტანციური სწავლება, აუდიტორიულ გარემოსთან შედარებით, ჩვეულებრივ სტუდენტსა და მასწავლებელს შორის ცოცხალი ინტერაქციის მსგავს დონეს ვერ უზრუნველყოფს. ამ პრობლემის შესამცირებლად საქართველოს უნივერსიტეტები ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ციფრულ გადაწყვეტილებებს, მაგალითად ინტერაქტიულ სასწავლო პლატფორმებსა და ვირტუალურ შეხვედრებს, იყენებს. თუმცა სტუდენტთა ინტერესის შენარჩუნება, განსაკუთრებით პრაქტიკულ მუშაობაზე დაფუძნებულ პროგრამებში, მაგალითად ლაბორატორიულ საგნებში, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება (Krzyżak and Walas-Trębacz, 2024).

შემთხვევის კვლევა: Erasmus+ და დისტანციური სწავლება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში[5]

თბილისის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს უსდ-ებში დისტანციური სწავლების დანერგვის მაგალითია. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტი Erasmus+-ის მეშვეობით ძირითადად შერეული სწავლების მოდელით მუშაობდა, რომელიც ონლაინ და აუდიტორიულ გაკვეთილებს აერთიანებდა. შეიქმნა ციფრული რესურსები 100-ზე მეტი კურსისთვის და გამოყენებულ იქნა ონლაინ შეფასება და ჯგუფური პროექტები უკუკავშირის გასაუმჯობესებლად. ინიციატივამ აჩვენა დისტანციური სწავლების პოტენციალი და ტექნოლოგიის უნარი, ფიზიკური და ლოგისტიკური დაბრკოლებების მიუხედავად განათლების უწყვეტობა უზრუნველყოს.

3.2 მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი აკადემიურ მართვაში

მონაცემთა ანალიტიკა და ხელოვნური ინტელექტი (AI) სულ უფრო სწრაფად ინერგება აკადემიურ მართვაში. ევროკავშირის ისეთი პროგრამების დახმარებით, როგორიცაა ჰორიზონტი ევროპა, საქართველოს უსდ-ები ამ ინსტრუმენტებს უკეთესი გადაწყვეტილებების, რესურსების განაწილებისა და სტუდენტური მხარდაჭერისთვის იყენებენ.

მონაცემთა ანალიტიკის გამოყენება უსდ-ებში:

- **ჩარიცხვების მართვა და პროგნოზული ანალიტიკა:** უნივერსიტეტებს მონაცემთა ანალიტიკით შეუძლიათ ჩარიცხვების ოპტიმიზაცია, სტუდენტთა შენარჩუნების პროგნოზირება და რისკის ქვეშ მყოფთათვის მიზნობრივი ჩარევების შექმნა. ჰორიზონტი ევროპის დაფინანსება საქართველოს უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს რეალურ დროში აკონტროლონ პროგრესი და მოწინავე ანალიტიკური ინსტრუმენტებით პერსონალიზებული სასწავლო გზები შესთავაზონ (Krzyżak and Walas-Trębacz, 2024).
- **რესურსების ოპტიმიზაცია:** მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომები დაწესებულებებს რესურსების — აუდიტორიების დაგეგმვიდან აკადემიური პერსონალის დატვირთვამდე — უკეთ განაწილებაში ეხმარება. AI ალგორითმები უზარმაზარ მონაცემთა ნაკრებებს აანალიზებს და მენეჯერებს რესურსების იქ მიმართვის საშუალებას აძლევს, სადაც ისინი ყველაზე მეტად არის საჭირო. ევროკავშირის მხარდაჭერით საქართველოს უნივერსიტეტებმა საოპერაციო საქმიანობის გასამარტივებლად AI-ის გამოყენება დაიწყეს, რათა რესურსები ეფექტიანად გამოიყენონ და

[5] https://iliauni.edu.ge/en/iliauni/units/foreignrelations/gacvliti-programebi/erasmus23

სტუდენტებმა დროული დახმარება მიიღონ (Gaftandzhieva and Doneva, 2021).

ხელოვნური ინტელექტი აკადემიური შედეგების მონიტორინგისთვის:

- **ავტომატიზებული უკუკავშირის** სისტემები: ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ინსტრუმენტებს შეუძლიათ სტუდენტების შედეგებზე მყისიერი უკუკავშირი გასცენ და პედაგოგებს მიუთითონ, სად არის საჭირო დამატებითი დახმარება. თითოეული ტიპის კითხვის შემდეგ უკუკავშირი პრობლემების დროულ გამოსწორებასა და პროგრესს უნდა უწყობდეს ხელს. საქართველოში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა რამდენიმე პროექტმა უსდ-ებში ასეთი სისტემების დანერგვას შეუწყო ხელი, განსაკუთრებით დიდ კურსებზე, სადაც ხელით შეფასება რთულია (Hooda et al., 2022).
- **პერსონალიზებული სასწავლო** გზები: ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ სასწავლო პლატფორმებს შეუძლია სტუდენტის საჭიროებების ამოცნობა და საგანმანათლებლო შინაარსის შესაბამისად ორგანიზება. სტუდენტთა ქცევისა და შედეგების მონაცემებით AI სისტემას შეუძლია თითოეული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნა, რომელიც მის ჩართულობასა და სათანადო გამოწვევას უზრუნველყოფს. ჰორიზონტი ევროპის ეგიდით მიმდინარე STEM სკოლებზე გადასვლის პროცესში საქართველოს უსდ-ების პროფესორებს ახლა თითოეული ადამიანის ინდივიდუალური მიმართულების უფრო ზუსტად გამოვლენა შეუძლიათ (Shoaib et al., 2024).

შემთხვევის კვლევა: ჰორიზონტი ევროპა და მონაცემთა ანალიტიკა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შენარჩუნებისა და წარმატების მაჩვენებლების გასაზრდელად მონაცემთა ანალიტიკის გამოყენებას ჰორიზონტი ევროპის მიერ [6]დაფინანსებული პროექტი უჭერს მხარს. უნივერსიტეტმა პროგნოზული ანალიტიკის პლატფორმა დანერგა, რომელიც სტუდენტთა ნიშნების, დასწრებისა და უნივერსიტეტში ჩართულობის მონაცემებს აანალიზებს, რათა გამოავლინოს, ვის ემუქრება ყველაზე მეტად წარუმატებლობა. ეს ადმინისტრატორებს საშუალებას აძლევს სტუდენტის წარმატებისთვის საჭირო

[6] https://www.tsu.ge/en/scientific-relations/page/HORIZON-Europe-DSRD

ტუტორინგი, კონსულტაცია ან სხვა მხარდაჭერის სერვისი შესთავაზონ. მონაცემებზე ორიენტირებული მეთოდოლოგია სტუდენტთა შენარჩუნებაში წინსვლას აღწევს.

3.3 ვირტუალური ლაბორატორიებისა და ციფრული შეფასების როლი

STEM განათლებამ, ვირტუალურმა ლაბორატორიებმა და ციფრულმა შეფასებებმა COVID-19-ის პანდემიის მსგავსი გლობალური კრიზისების შემდეგ განათლების ეტაპი მთლიანად გარდაქმნა. ევროკავშირის რამდენიმე პროგრამის, მათ შორის Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის ფარგლებში განხორციელებულმა საქმიანობებმა გზა გაუხსნა საქართველოს უნივერსიტეტებში ვირტუალური ლაბორატორიული გარემოს შექმნას, რომელიც სტუდენტთა ონლაინ პრაქტიკულ მომზადებას უწყობს ხელს.

- **ვირტუალური** ლაბორატორიები: ისინი ონლაინმოსწავლე სტუდენტებს ფიზიკურ ლაბორატორიულ სივრცესა თუ ქიმიურ ნივთიერებებზე წვდომის გარეშე ექსპერიმენტების ჩატარების შესაძლებლობას აძლევს. ვირტუალიზებულია მუზეუმები, გამოფენები და ბიბლიოთეკები; ევროკავშირის დაფინანსებით საქართველოს კოლეჯებმა ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის სხვადასხვა ვირტუალური ლაბორატორიაც შექმნა. ეს ლაბორატორიები რეალისტურ გარემოს სთავაზობს, სადაც სტუდენტებს ცვლადების შეცვლა და შედეგების დაკვირვება შეუძლიათ, რაც ფიზიკური ლაბორატორიის მსგავს საგანმანათლებლო გამოცდილებას ქმნის (Hamed and Aljanazrah, 2020).
- **თანამშრომლობითი სწავლა ვირტუალურ** ლაბორატორიებში: ონლაინ ლაბორატორიები ფიზიკური დასწრების გარეშე ჯგუფურ ექსპერიმენტებსა და ურთიერთდახმარებას უზრუნველყოფს (Bower et al., 2017). ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პლატფორმების გამოყენებით ქართველ სტუდენტებს ევროპელ თანატოლებთან კვლევით პროექტებზე თანამშრომლობაც შეეძლოთ. პროგრამა იძლევა გლობალურ ხედვასა და მნიშვნელოვან პრაქტიკულ გამოცდილებას STEM სფეროებში.

ციფრული შეფასება:

- **დისტანციური და რეალურ დროში შეფასება:** ევროკავშირის პროგრამების მხარდაჭერით ციფრული შეფასებები უნივერსიტეტებს სტუდენტთა შედეგების დროითი შეზღუდვების შემცირებით შეფასების საშუალებას აძლევს (Deniz et al., 2022). ისინი მოიცავს ონლაინტესტებს, პრობლემების გადაჭრის ინტერაქტიულ სესიებსა და პირდაპირ ეთერში ზედამხედველობით გამოცდებსაც კი. ეს ინსტრუმენტები საქართველოს უსდ-ებში ფართოდ გამოიყენება და მაშინ, როდესაც პირისპირ შეფასება შეუძლებელია, აკადემიურ უწყვეტობას უზრუნველყოფს.

- **ავტომატიზებული შეფასება და** უკუკავშირი: ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული სისტემები ჩაბარებულ ნამუშევრებს თითქმის დაუყოვნებლივ აფასებს. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა დიდ კურსებზე, სადაც ხელით შეფასებას დიდი დრო დასჭირდებოდა (Ramesh and Sanampudi, 2022). საქართველოს უნივერსიტეტები ევროკავშირის პროგრამებით დაფინანსებული ციფრული შეფასების საშუალებებით წარმატებით აფართოებენ შეფასების მასშტაბს და ამავდროულად აკადემიურ კეთილსინდისიერებას ინარჩუნებენ.

შემთხვევის კვლევა: ვირტუალური STEM ლაბორატორიები საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (GTU) Erasmus+-ის მხარდაჭერით ვირტუალური ლაბორატორიების დანერგვის [7]ლიდერი იყო. პანდემიის დროს GTU-მ ინჟინერიის სტუდენტებისთვის შექმნა ვირტუალური ლაბორატორია, სადაც მათ თერმოდინამიკასა და სითხეების მექანიკასთან დაკავშირებული ექსპერიმენტების სრულად ონლაინ ჩატარება შეეძლოთ. პროექტმა პრაქტიკული განათლების უწყვეტობა უზრუნველყო და ციფრული ექსპერიმენტული ინსტრუმენტების გამოყენების უნარები განავითარა — თანამედროვე საინჟინრო სამუშაო ძალისთვის კრიტიკული კომპეტენცია.

3.4 ბლოკჩეინი სერტიფიცირებისა და აკადემიური გამჭვირვალობისთვის

უმაღლეს განათლებაში ბლოკჩეინტექნოლოგიის როლი თანდათან იზრდება, რადგან იგი ყველა აკადემიური სერტიფიკატის გამჭვირვალე და უსაფრთხო გადამოწმებას ემსახურება. ევროკავშირი ამ პროცესს ისეთი პროგრამებით უძღვება, როგორიცაა Europass-ის ციფრული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომელიც ყველა აკადემიური სერტიფიკატის, დიპლომისა და ნიშნების ფურცლის ბლოკჩეინსისტემით შექმნასა და შემოწმებას წაახალისებს (Kabashi et al., 2024).

ბლოკჩეინი სერტიფიკატების უსაფრთხოებისთვის:

- **უცვლელი და გადამოწმებადი** ჩანაწერები: ბლოკჩეინში აკადემიური ჩანაწერები სერტიფიკატის გაცემის შემდეგ უცვლელი და გაყალბებისგან დაცულია. ეს ამცირებს თაღლითობის რისკს და დამსაქმებლებს, უნივერსიტეტებსა და სხვა მხარეებს კანდიდატის სერტიფიკატების ნამდვილობის სწრაფად დადასტურების საშუალებას აძლევს (Arenas and Fernandez, 2018). ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების დახმარებით საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო

[7] https://help.ece.gatech.edu/labs/virtual

დაწესებულებებმა ბლოკჩეინის გამოყენებით ციფრული დიპლომებისა და სერტიფიკატების გაცემა დაიწყეს.

- **კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მარტივი** და სწრაფი შემოწმება: ბლოკჩეინი მათ გადამოწმებასაც ამარტივებს, რადგან ხანგრძლივი ფონური შემოწმების გარეშე მყისიერი დადასტურება არის შესაძლებელი. სტუდენტის დამთავრების შემდეგ დამსაქმებლებსა და უნივერსიტეტებს მისი განათლების ისტორიის ერთი დაწკაპუნებით გადამოწმება შეუძლიათ. ეს განსაკუთრებით სასარგებლოა გლობალურ გარემოში, სადაც მოსწავლეებმა ცოდნა საერთაშორისო დონეზე უნდა დაადასტურონ და კვალიფიკაციები საზღვრებს მიღმა წარმოადგინონ; ამას Europass-ის ციფრული კვალიფიკაციების ჩარჩო უზრუნველყოფს (Baldi et al., 2019).

ბლოკჩეინი აკადემიური **გამჭვირვალობისთვის:**

- **მიკროკვალიფიკაციები და მთელი სიცოცხლის** განმავლობაში სწავლა: ბლოკჩეინს შეუძლია კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლასთან დაკავშირებულ მიკროკვალიფიკაციებს, რომელთა მიკვლევაც ნანოსერტიფიკატის გაცემის შემდეგ არის შესაძლებელი (Sabuncu et al., 2022). ევროკავშირის მხარდაჭერილი ბლოკჩეინპლატფორმების საშუალებით საქართველოს უნივერსიტეტებმა შეძლეს ასეთი კვალიფიკაციების გაცემა, რაც სტუდენტებს მომავალ დამსაქმებლებთან უნარების ფართო ნაკრების წარდგენის შესაძლებლობას აძლევს.
- **აკადემიური მიღწევების გამჭვირვალობა: ბლოკჩეინსისტემით** თითოეულ სტუდენტს, დაწესებულებასა და დამსაქმებელს აკადემიური მიღწევების ნახვა შეუძლია. ეს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს ამოწმებს და სტუდენტებს მათი გაზიარების თავდაჯერებას აძლევს, რადგან მონაცემების ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობა დადასტურებულია (El Koshiry et al., 2023).

მოდული 4. სასწავლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებით

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ერთ-ერთი მთავარი შედეგი საქართველოს უსდ-ებში სასწავლო პროგრამების გარდაქმნა იყო. ეს საქმიანობა ასევე მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომის

გაუმჯობესებას, სხვადასხვა დისციპლინას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობასა და კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომების განვითარებას, რომლებიც უკეთ პასუხობს გლობალური სამუშაო ძალის საჭიროებებს. საქართველოს უნივერსიტეტებმა წარმატებით დაძლიეს სოციალისტური პერიოდის სტაგნაციაც და ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორიცაა Erasmus+ (სტუდენტთა გაცვლა) და ჰორიზონტი ევროპა (სამეცნიერო სრულყოფილება), განაახლეს აკადემიური პორტფელი, რათა XXI საუკუნის გამოწვევებზე ორიენტირებული კონკურენტული განათლება შესთავაზონ (Lezhava, 2024).

4.1 მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მასალებზე წვდომა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა უახლეს საგანმანათლებლო მასალებზე წვდომის უზრუნველყოფაა. ევროპის უსდ-ები საქართველოს უნივერსიტეტებთან ურთიერთობების განვითარებისას თანამედროვე შინაარსს აწვდიან, რომელზეც ამ დაწესებულებებს Erasmus-ის ჩარჩოს მიღმა შესაძლოა წვდომა არ ჰქონოდათ.

ევროკავშირის პროექტებით უზრუნველყოფილი ძირითადი რესურსები:

- **ღია საგანმანათლებლო რესურსები (OER):** ევროკავშირის პროგრამები მხარს უჭერს ღია საგანმანათლებლო რესურსების — სახელმძღვანელოების, პრეზენტაციების, ვიდეოინსტრუქციებისა და სხვა მასალების — შექმნასა და გავრცელებას, რომელთა სწავლებაში უფასოდ გამოყენება შეიძლება. მათ წამყვანი ევროპული დაწესებულებები მართავს და საქართველოს განათლების სისტემაში მათი გამოყენება შესაძლებელია (Nipa and Kermanshachi, 2020).
- **კურსების ერთობლივი შემუშავება:** ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები საქართველოს უნივერსიტეტებს ევროპულ უნივერსიტეტებთან კურსების ერთობლივად შექმნის საშუალებას აძლევს. თანამშრომლობა ქმნის მაღალი ხარისხის სასწავლო პროგრამებს, რომლებიც თანამედროვე პედაგოგიკასა და უმაღლესი განათლების ტენდენციებს ეფუძნება.
- **ციფრული სასწავლო** პლატფორმები: Erasmus+ და ევროკავშირის სხვა პროგრამები ხელს უწყობს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო შინაარსის მქონე პლატფორმების განვითარებას. სტუდენტები სწრაფად იღებენ წვდომას ინტერაქტიულ სიმულაციებზე, ვირტუალურ ლაბორატორიებსა და მულტიმედიურ რესურსებზე, რაც მათ სასწავლო გამოცდილებას აუმჯობესებს.

გავლენა საქართველოს უსდ-ებზე:

ამ მაღალი ხარისხის მასალებზე წვდომამ საქართველოს უნივერსიტეტებში განათლების სტანდარტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული შინაარსის ინტეგრირებით ინსტიტუტებს შეუძლიათ სტუდენტებს შესთავაზონ უფრო სრულყოფილი სასწავლო პროგრამა, რომელიც გლობალურ ტენდენციებსა და უახლეს ტექნოლოგიებს მოიცავს. საქართველო ასევე დაინტერესებულია აკადემიური სარგებელითა და უსდ-ების ხარისხის გაუმჯობესებით; ბევრი მათგანი ცდილობს მოამზადოს კურსდამთავრებულები, რომლებიც საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი იქნებიან.

4.2 ევროკავშირის მასალების მორგება საქართველოს უსდ-ებისთვის

ქვეყნის სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ამსახველი ადგილობრივი შემთხვევის კვლევების ჩართვით საქართველოს უნივერსიტეტებს შეუძლიათ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო მასალები უფრო რელევანტური გახადონ. ბიზნესისა და ეკონომიკის კურსებში შეიძლება ქართული კომპანიების მაგალითების გამოყენება, რათა სტუდენტებმა მასალის პრაქტიკული მნიშვნელობა უკეთ გაიგონ. ევროკავშირის მასალების ქართულად თარგმნა, რომლებიც ხშირად ინგლისურ ან სხვა ევროპულ ენაზე ქვეყნდება, რესურსებს უფრო ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომს გახდის, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც უცხო ენის ცოდნა არ აქვს. მაქსიმალური სარგებლიანობისთვის უნივერსიტეტებმა ეს მასალები ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკასა და აკრედიტაციის სტანდარტებს უნდა დაუკავშირონ, ადგილობრივ კანონებთან შეათანხმონ და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა გაითვალისწინონ (Oleksiyenko, 2023).

გავლენა ადგილობრივი სასწავლო პროგრამის ხარისხზე:

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული მასალების ადგილობრივ გამოყენებაზე მორგება ევროპულ საგანმანათლებლო კონტექსტში ხელმისაწვდომ ხარისხს ინარჩუნებს და ამავე დროს საქართველოს უსდ-ების სტუდენტების საჭიროებებს უკეთ ერგება. ეს ქმნის სრულფასოვან და სასარგებლო საგანმანათლებლო გამოცდილებას, რომელიც სტუდენტებს ადგილობრივი და გლობალური გამოწვევებისთვის ამზადებს.

4.3 ინტერდისციპლინური მიდგომების გაძლიერება საქართველოს უსდ-ებში

განათლების სისტემა სულ უფრო მეტად აცნობიერებს, რომ იზოლირებული დისციპლინები სტუდენტებს რთული და დინამიკური რეალური გამოწვევებისთვის სათანადოდ ვერ ამზადებს; ამას ბიზნესიც აღიარებს. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საქმიანობა ხელს უწყობს ინტეგრირებული

სასწავლო პროგრამების განვითარებას, აერთიანებს სოციალურ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ ცოდნას და უფრო ტრანსდისციპლინურ მიდგომებს სთავაზობს, რის შედეგადაც კურსდამთავრებულები უკეთ ემზადებიან შრომის ბაზრის გამოწვევებისთვის (Popkhadze, 2021).

ინტერდისციპლინური განათლების როლი:

- **ინტერდისციპლინური** სწავლება: ტრადიციული განათლების სისტემა თითოეულ დარგს ცალკე სფეროდ განიხილავს, ხოლო ინტერდისციპლინური მიდგომა საზღვრებს შლის და დარგებს აერთიანებს. მაგალითად, მდგრადი განვითარება შეიძლება მოიცავდეს გარემოს მეცნიერების, ეკონომიკისა და საჯარო პოლიტიკის ასპექტებს, რათა სტუდენტებმა საკითხის სხვადასხვა მხარე გაიგონ (Ryberg, 2020).
- **ინოვაციის ხელშეწყობა თანამშრომლობით:** ინტერდისციპლინური სწავლა კრეატიულობასა და ინოვაციას აძლიერებს სხვადასხვა დისციპლინის სტუდენტებისა და ფაკულტეტების თანამშრომლობით. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები ხშირად უწყობს ხელს ინტერდისციპლინურ კვლევასა და სწავლებას და საქართველოს უსდ-ებს რამდენიმე დისციპლინის საუკეთესო მხარეების გამაერთიანებელი პროგრამების შეთავაზებას უადვილებს (Moirano et al., 2020).
- **მომავლისთვის მზადმყოფი** კურსდამთავრებულების მომზადება: ამ პროგრამის კურსდამთავრებულები მომავალი კარიერისთვის, მათ შორის ჯერ არარსებული სამუშაოებისთვის, მზად იქნებიან. ინტერდისციპლინური განათლება სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და რთული პრობლემების გადაჭრის უნარს აძლევს. სხვადასხვა დისციპლინას შორის კავშირების დამყარების უნარის მქონე კურსდამთავრებულები ყველაზე მეტად შეძლებენ ჩვენი პლანეტის დიდი გამოწვევების — კლიმატის ცვლილებიდან ტექნოლოგიურ რღვევებსა და მზარდ სოციალურ უთანასწორობამდე — დაძლევას (De Villiers, 2021).

ინტერდისციპლინური კურიკულუმების მხარდაჭერა ევროკავშირში:

ევროკავშირის პროექტების, მაგალითად ჰორიზონტი ევროპის, დაფინანსება ინტერდისციპლინურობას უწყობს ხელს და უნივერსიტეტებს კურსების ერთობლივი დიზაინის რესურსებს აძლევს. Erasmus+-ის მიერ მხარდაჭერილი ერთობლივი პროგრამები ხშირად აერთიანებს სოციალურ მეცნიერებებსა და ტექნიკურ დისციპლინებს, რაც სტუდენტებს თანამედროვე პრობლემების ინტეგრირებული ბუნების შესაბამისი კომპეტენციების განვითარებაში ეხმარება (Kosmützky and Wöhlert, 2021).

4.4 კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების შემუშავება

კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლება (CBE) არის მოდელი, რომელშიც სტუდენტის წინსვლა დამოკიდებულია არა აუდიტორიაში გატარებულ დროზე დაფუძნებულ კრედიტებზე, არამედ კონკრეტული უნარებისა და სწავლის შედეგების დაუფლებაზე. ეს მიდგომა სულ უფრო ხშირად გვხვდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ინიციატივებში, რომელთა სასწავლო პროგრამებიც განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული შედეგებისთვის საჭირო კომპეტენციებს.

კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო პროგრამების მახასიათებლები:

- **უნარებსა და კომპეტენციებზე** ფოკუსი: CBE ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ბაზრისთვის საჭირო უნარების შეძენაზე და არა ფართო განათლებაზე, როგორც ბევრი ტრადიციული პროგრამა. სტუდენტები ფასდებიან იმის მიხედვით, შეუძლიათ თუ არა ამ კომპეტენციების გამოვლენა, რის შედეგადაც კურსდამთავრებულები შრომის ბაზრისთვის მზად არიან.
- **მოქნილი სასწავლო** გზები: CBE სტუდენტებს საკუთარი ტემპით მუშაობისა და ერთი კომპეტენციის დაუფლების შემდეგ შემდეგზე გადასვლის საშუალებას აძლევს. პერსონალიზებული სწავლა მათ სირთულეებზე კონცენტრირებასა და ძლიერ საგნებში სწრაფ წინსვლას უწყობს ხელს.
- **რეალურ გარემოში** გამოყენება: კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამები მოიცავს ლაბორატორიულ კურსებს, სტაჟირებებსა და სხვა პრაქტიკულ გამოცდილებას, სადაც სტუდენტს თეორიული ცოდნის გამოყენება შეუძლია. უნივერსიტეტი ევროკავშირის პროექტებში ინდუსტრიასთან თანამშრომლობს, რაც სტუდენტების შესაბამის პრაქტიკულ მომზადებას უზრუნველყოფს.
-

ევროკავშირის მხარდაჭერა კომპეტენციებზე დაფუძნებული განათლებისთვის საქართველოს უსდ-ებში:

ევროკავშირის პროგრამებმა, როგორიცაა Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს უსდ-ების კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამების განვითარებაში. პროექტები ეხმარება სასწავლო პროგრამების დიზაინში, პერსონალის განვითარებასა და CBE-ის პრინციპებთან შესაბამის შეფასებაში.

4.5 უნარების დეფიციტის შემცირება: სტუდენტების მომზადება XXI საუკუნის კარიერისთვის

ტექნოლოგია თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება, ხოლო გლობალური შრომის ბაზარი მკვეთრად იცვლება, რაც ციფრული წიგნიერების, მწვანე ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის მსგავსი საჭირო უნარების მნიშვნელოვან დეფიციტს ქმნის. საქართველოს უნივერსიტეტებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინიციატივები ამ განსხვავებების დასაძლევად და მომავალი შრომის ბაზრის მოთხოვნების ამსახველი ახალი პროგრამების შესაქმნელად ჩამოყალიბდა (Riga, 2024).

ძირითადი მიმართულებები:

- **ციფრული უნარები:** ციფრულმა რევოლუციამ ინდუსტრიის დიდი ნაწილი საფუძვლიანად შეცვალა და კომპიუტერულად მომზადებული კურსდამთავრებულების გლობალური დეფიციტი შექმნა.
- **მდგრადი განვითარება:** ევროკავშირი მდგრადობას დიდ ყურადღებას უთმობს და საქართველოს უნივერსიტეტები პროგრამებს ამ პრიორიტეტს უთანხმებს. უნივერსიტეტი ევროკავშირის დაფინანსებით გარემოსდაცვით მეცნიერებებში, მდგრად ბიზნესსა და მწვანე ტექნოლოგიებში მიმართულებებს ავითარებს, რათა კურსდამთავრებულები უფრო მდგრად ეკონომიკაზე გლობალური გადასვლის მხარდასაჭერად სრულად იყვნენ აღჭურვილი.
- **მეწარმეობა და ინოვაცია:** საქართველოს უსდ-ები სულ უფრო მეტად ამახვილებენ ყურადღებას მეწარმეობაზე, ხოლო ევროკავშირის დაფინანსება ხელს უწყობს ინოვაციური ჰაბების, ბიზნესინკუბატორებისა და სტარტაპ აქსელერატორების შექმნას. ეს აყალიბებს ინოვაციურ და სამეწარმეო სულისკვეთებას და სტუდენტებს საკუთარი კომპანიების შექმნისა და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერის უნარებს აძლევს.


მოდული 5. ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და პერსონალის განვითარება

უსდ-ები მდგრადობისა და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვის გამოწვევებს აწყდებიან, ამიტომ შესაძლებლობების განვითარება მათი წინსვლის საშუალებაა. საქართველოს უსდ-ების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება კონკურენტუნარიანობისა და მაღალი ხარისხის განათლებისთვის გადამწყვეტია. ევროკავშირი პერსონალის მხარდაჭერას აფართოებს Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის მეშვეობით,

რომლებიც საერთაშორისო ქსელებს, კარიერულ გზებსა და ხელმძღვანელთა ტრენინგებს უზრუნველყოფს (Tabatadze and Chachkhiani, 2022).

5.1 Erasmus+-ის როლი პერსონალის მობილობასა და თანამშრომლობაში

Erasmus+-ის პროგრამა ევროპულ უსდ-ებს შორის პერსონალის მობილობისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად ევროკავშირის ძალისხმევის ქვაკუთხედია. ინიციატივა საქართველოს უნივერსიტეტების აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობისა და პროფესიული განვითარების საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს. ეს გაცვლები პერსონალის კომპეტენციების, სწავლების ხარისხისა და ხანგრძლივი საერთაშორისო ქსელების გასაუმჯობესებლად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია (Isaeva et al., 2021).



სურათი 1. Erasmus+-ის პროგრამის როლი საქართველოს უნივერსიტეტების პერსონალის მობილობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობაში

Erasmus+-ის ფარგლებში პერსონალის მობილობა საქართველოს უნივერსიტეტებს ცოდნის გადაცემის, ერთობლივი კვლევისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს აძლევს. აკადემიური პერსონალის მობილობით თანამშრომლებს შეუძლიათ ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების განსხვავებულ სტილებსა და კვლევით მიდგომებს დააკვირდნენ, გაეცნონ აზროვნების ახალ გზებს და დაბრუნების შემდეგ ისინი საკუთარ დაწესებულებაში დანერგონ. საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობა საქართველოსა და ევროპის მკვლევრებს საერთო გამოწვევების ერთობლივად გადაჭრის საშუალებას აძლევს, რასაც თანაავტორობით პუბლიკაციები და კვლევითი შესაძლებლობების ზრდა მოჰყვება. ადმინისტრატორები ასევე ეცნობიან კარგი მმართველობისა და მართვის პრაქტიკას, რაც უნივერსიტეტის უფრო ეფექტიან და გამჭვირვალე საქმიანობას შეუწყობს ხელს (სურათი 1).

5.2 უწყვეტი განათლება და პროფესიული განვითარება

დღევანდელ, მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში, სადაც რეგულარულად ჩნდება სწავლების ახალი ტექნოლოგიები, კვლევის მეთოდოლოგიები და ადმინისტრაციული პრაქტიკა, პერსონალის უწყვეტ განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ევროკავშირი გაცვლითი სქემების, თანამშრომლობის ონლაინპლატფორმებისა და სერტიფიცირების ჩარჩოების მეშვეობით მიზანმიმართულად უწყობს ხელს უნივერსიტეტის თანამშრომელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს (Moonasar, 2024).

ევროკავშირის მხარდაჭერა უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის:

- **ევროკავშირის ონლაინ პლატფორმები და MOOC-ები** (მასობრივი ღია ონლაინ კურსები): ევროპული საგანმანათლებლო ქსელები, მათ შორის eTwinning, European School Education Platform და OpenLearn, პროფესიული განვითარების მრავალ კურსს სთავაზობს. საქართველოს უსდ-ების პერსონალს შეუძლია დარეგისტრირდეს ციფრული განათლების, პედაგოგიური ინოვაციის ან ლიდერობის კურსებზე. დისტანციური წვდომა და საკუთარი ტემპით სწავლა მათ საშუალებას აძლევს მუდმივად აიმაღლონ კვალიფიკაცია სამუშაოდან ხანგრძლივი შესვენების გარეშე (Voudoukis and Pagiatakis, 2022).
- **ციფრული სწავლების კომპეტენციის სერტიფიცირების** ჩარჩოები: ისეთი პროგრამები, როგორიცაა DigCompEdu, პერსონალს ციფრულ პედაგოგიკაში პროფესიული განვითარების სტრუქტურირებულ გზებს სთავაზობს („Analysis of Frameworks for Digital Skills Training for Secondary School Teachers“, 2024). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან შეზღუდული რესურსების მქონე უნივერსიტეტები სწავლებისა და ადმინისტრირებისას სულ უფრო მეტ ციფრულ ინსტრუმენტს იყენებენ. DigCompEdu-ს სერტიფიცირება საქართველოში პედაგოგებს ტექნოლოგიის რეალური გავლენისთვის გამოყენებაში ეხმარება.
- **სამუშაო შეხვედრები, კონფერენციები და** ვებინარები: ევროკავშირი უმაღლეს განათლებაში ახალი ტენდენციების განსახილველად მონაწილეებს სამუშაო შეხვედრებზე, კონფერენციებსა და ვებინარებზე აერთიანებს. ასეთი პლატფორმა საქართველოს უსდ-ების თანამშრომლებს ციფრული ტრანსფორმაციის, ინკლუზიური განათლებისა და მდგრადი განვითარების შესახებ უახლეს ინფორმაციაზე პირდაპირ წვდომას აძლევს. როგორც საზღვარგარეთ,

ისე ქვეყანაში გამართულ ღონისძიებებზე მონაწილე პერსონალს შეუძლია კონტაქტების დამყარება, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა და საკუთარ დაწესებულებებში ახალი მიდგომების დანერგვა (Meyer et al., 2021).

- **უწყვეტი განათლების გავლენა საქართველოს** უსდ-ებზე: უწყვეტი სწავლის კულტურის შექმნით ევროკავშირი საქართველოს უსდ-ებს მაღალი ხარისხის განათლებისა და მართვის უზრუნველყოფაში ეხმარება. მუდმივი განვითარება აკადემიური პერსონალის ცოდნას აძლიერებს, ადმინისტრაციულ პერსონალს კი უფრო ეფექტიანი სამუშაო პრაქტიკის დანერგვის საშუალებას აძლევს. სტუდენტები უკეთესი პირობებით სარგებლობენ, ხოლო საქართველოს უნივერსიტეტები საზღვარგარეთ მეტ აღიარებას იღებენ (Erguvan, 2024).

5.3 ევროკავშირის წვლილი უსდ-ებში ლიდერობის განვითარებაში

ძლიერ ლიდერობას ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და უსდ-ები გამონაკლისი არ არის. ევროკავშირმა საქართველოს უნივერსიტეტებს ლიდერობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია სხვადასხვა ინსტრუმენტით, რომლებიც მენეჯერთა მომზადებას, მმართველობითი კომპეტენციების განვითარებასა და კოლეგიალური მენტორობის პროგრამებს უწყობს ხელს. პროგრამების მიზანია უნივერსიტეტის დონეზე ინოვაციაზე, სტრატეგიულ დაგეგმვასა და კარგ მმართველობაზე ორიენტირებული ლიდერული ქცევის ჩამოყალიბება.

ლიდერთა მომზადების პროგრამები:

- **სტრატეგიული ლიდერობის განვითარება:** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები, მათ შორის Erasmus+, ჰორიზონტი 2020 და ჰორიზონტი ევროპა, უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა აზროვნებასა და უნარებს ავითარებს. ისინი უსდ-ების ადმინისტრატორებს ეხმარება გრძელვადიანი ინსტიტუციური მიზნებისთვის მრავალმხრივი დაგეგმვის პროცესების შექმნასა და რესურსების სტრატეგიულ მიმართულებებთან შესაბამისობაში, რესურსების შეზღუდვის, სტუდენტთა მრავალფეროვნებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით. საქართველოს უნივერსიტეტების რექტორებსა და დეკანებს შეუძლიათ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ სემინარებში მონაწილეობა და ეროვნული

საგანმანათლებლო პოლიტიკისა და გლობალური ტენდენციების შესაბამისი გეგმების შემუშავება.

- **მენეჯერული კომპეტენციის განვითარება:** ეფექტიანი ლიდერობა საჭიროებს ძლიერ მართვის უნარებს — კარგ დაგეგმვას, შესრულებასა და შემდგომ მონიტორინგს. ფინანსური და ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამები უმაღლესი განათლების ლიდერებს ეხმარება ფინანსების მართვის, პერსონალის ზედამხედველობისა და საერთაშორისო ხარისხის მოთხოვნებთან შესაბამისობის კომპეტენციების განვითარებაში. ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები, როგორიცაა EIT, საქართველოს უნივერსიტეტების ხელმძღვანელებს ინოვაციებზე დაფუძნებული მმართველობის მოდელების შექმნაში ეხმარება, რათა დაწესებულებებმა ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნონ.

მენტორობის შესაძლებლობები და კოლეგიალური სწავლა:

- **კოლეგიალური სწავლების** პლატფორმები: ევროკავშირი ასევე ხელს უწყობს უსდ-ების ადმინისტრატორებს შორის კოლეგიალურ სწავლებას ისეთი პროექტებით, როგორიცაა Leadership Development Programme (LDP), სადაც უნივერსიტეტის მმართველობის საუკეთესო მაგალითები ზიარდება. საქართველოს უნივერსიტეტების ლიდერებს შეუძლიათ ევროპელ კოლეგებთან დაკავშირება და უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე დაწესებულებებისგან მმართველობის საუკეთესო პრაქტიკის — მათ შორის უნივერსიტეტის უნიკალური კულტურის შენარჩუნებისა და საერთო ეფექტიანობის ზრდის თავსებადი მოდელების — ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის სისტემების შესახებ სწავლა.
- **მენტორობა დამწყები ლიდერებისთვის:** ევროკავშირის პროექტებით წარმართული ამ კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში ჩამოყალიბებული ევროპული დაწესებულებების გამოცდილი მენტორები საქართველოს უნივერსიტეტების დამწყებ ლიდერებს ერჩევიან. ისინი უზრუნველყოფენ ლიდერულ მხარდაჭერას, აძლევენ რჩევებს აკადემიური გარემოს სირთულეებში გასარკვევად და მენტორობის მიმღებებს საკუთარი ლიდერული მიმართულების განსაზღვრაში ეხმარებიან. ასეთი მენტორობა აძლიერებს ლიდერთა ახალ თაობას, რომელსაც ინოვაციების დანერგვა და უსდ-ების უფრო შედეგიანად გარდაქმნა შეუძლია.

მოდული 6. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების გამოყენება საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხისთვის

Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის მსგავსი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების საქართველოს უსდ-ების აკადემიურ სტრატეგიებში ინტეგრირება საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხის ასამაღლებლად გარდამქმნელი შესაძლებლობაა. ეს დაფინანსების მექანიზმები მზა საგანმანათლებლო მასალებზე წვდომას იძლევა, რომელთა ადგილობრივი საჭიროებებისთვის მორგება და ამავე დროს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა შესაძლებელია. ევროკავშირის ინიციატივებით ხელმისაწვდომი ფართო რესურსების გამოყენებით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ უზრუნველყონ თანამედროვე, გლობალურად აქტუალური კურიკულუმები და სტუდენტები XXI საუკუნის სამუშაო ძალის მოთხოვნებისთვის მოამზადონ (Kropp and Larsen, 2023).

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების ერთ-ერთი მთავარი სარგებელი წამყვანი ევროპული დაწესებულებების მიერ შექმნილ რეცენზირებულ საგანმანათლებლო შინაარსზე პირდაპირი წვდომაა. კერძოდ, Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა მხარს უჭერს ევროპისა და მის ფარგლებს გარეთ დაწესებულებებს შორის თანამშრომლობით პარტნიორობას, რაც მაღალი ხარისხის აკადემიური რესურსების განვითარებასა და გაზიარებას უწყობს ხელს. ამ თანამშრომლობით საქართველოს უსდ-ებს სხვადასხვა საგანმანათლებლო მასალაზე წვდომა შეუძლიათ, მათ შორის:

სასწავლო მოდულები: მზა, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო მოდულები, რომელთა არსებულ კურიკულუმებში ინტეგრირება შესაძლებელია. მათ ხშირად ახლავს გაკვეთილის გეგმები, შეფასებები და მულტიმედიური რესურსები, რომლებიც სასწავლო გამოცდილებას აუმჯობესებს (Abdulrahaman et al., 2020).

ციფრული სასწავლო მასალები: ეპოქაში, როდესაც ციფრული წიგნიერება სულ უფრო მნიშვნელოვანია, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები უზრუნველყოფს ციფრულ სახელმძღვანელოებზე, ინტერაქტიულ პლატფორმებსა და ვირტუალურ სასწავლო გარემოებზე წვდომას. ეს რესურსები არა მხოლოდ შინაარსის მიწოდებას აახლებს, არამედ განათლების ხელმისაწვდომობასაც ზრდის და სტუდენტებს მასალებთან ახალი, დინამიკური გზებით მუშაობის საშუალებას აძლევს (Mokhtari, 2023).

შეფასების მეთოდები: ეფექტიანი შეფასების სტრატეგიები მნიშვნელოვანია სტუდენტთა წარმატების გასაზომად და აკადემიური ხარისხის უზრუნველსაყოფად. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები მოიცავს

თანამედროვე ინსტრუმენტებს, რომლებიც პედაგოგებს სწავლის შედეგების უფრო ეფექტიანად შეფასებაში ეხმარება როგორც ტრადიციული მეთოდებით (გამოცდები, ესეები), ისე თანამედროვე ტექნიკით (ონლაინ შეფასება, რეალურ დროში უკუკავშირი) (Meylani, 2024).

ფართო კვლევისა და თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ეს რესურსები რეცენზირებასა და ხარისხის მკაცრ კონტროლს გადის, რაც მათ მაღალ აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ ამ შესაძლებლობით ისარგებლონ, მასალები კურიკულუმებში ჩართონ და შეთავაზებული განათლების ხარისხი და თანმიმდევრულობა გაზარდონ.

6.1 ადგილობრივი გამოყენებისთვის მორგება

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები მზა მასალებს უზრუნველყოფს, ამ რესურსების ნამდვილი ძალა მათ მოქნილობასა და ადაპტირებადობაში მდგომარეობს. საქართველოს უსდ-ები არ არიან შეზღუდული მასალების თავდაპირველი ფორმით გამოყენებით; მათ შეუძლიათ ისინი ადგილობრივი კონტექსტის, კულტურული თავისებურებებისა და სტუდენტთა კონკრეტული საჭიროებების შესაბამისად მოარგონ.

ევროკავშირის საგანმანათლებლო მასალები შეიძლება მოერგოს ქართულ მაგალითებს, შემთხვევის კვლევებსა და ისტორიულ კონტექსტს, რათა სტუდენტებმა შინაარსი საკუთარ რეალობას დაუკავშირონ და ამავე დროს საერთაშორისო ხედვით ისარგებლონ. მაგალითად, ევროპული ბიზნესის შემთხვევის კვლევას შეიძლება დაემატოს ქართული დარგების მაგალითები. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ბევრი მასალა მრავალ ენაზეა ხელმისაწვდომი და დაწესებულებებს ხშირად მშობლიურ ენაზე თარგმნისკენ მოუწოდებენ. ამგვარად საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ ქართულად შესთავაზონ მაღალი ხარისხის, საერთაშორისოდ აღიარებული შინაარსი და გაზარდონ ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა. ევროკავშირის სტანდარტები აკადემიური ხარისხის ჩარჩოს ქმნის, თუმცა რესურსები შეიძლება მოერგოს ეროვნულ საგანმანათლებლო პოლიტიკასა და მიზნებს, მაგალითად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტებს. ადაპტაცია უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას და ადგილობრივ საჭიროებებზე რეაგირებას, გლობალური ცოდნისა და ადგილობრივი გამოცდილების შერწყმით.

6.2 ევროკავშირის რესურსების იდენტიფიკაციის ცენტრის როლი

ევროკავშირის რესურსების იდენტიფიცირების ჰაბი — ონლაინპლატფორმა, რომელიც დაწესებულებებს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებით შექმნილი საგანმანათლებლო მასალების ადვილად მოძიების, წვდომისა და ინტეგრირების საშუალებას აძლევს — ამ შინაარსის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობია (Cetl, 2020; Meylani, 2024). ჰაბი რესურსების ცენტრალიზებული საცავის ფუნქციას ასრულებს და საქართველოს უსდ-ებს შესაბამისი შინაარსის აღმოჩენის გამარტივებულ პროცესს სთავაზობს. მისი მეშვეობით საქართველოს უსდ-ებს მაღალი ხარისხის, რეცენზირებული სასწავლო მოდულების, ციფრული რესურსებისა და შეფასების მეთოდების სწრაფად მოძიება და გამოყენება შეუძლიათ. საგნის, ენის ან სწავლის დონის მიხედვით გაფილტვრა დაწესებულებებს ყველაზე შესაბამისი მასალების კურიკულუმებში ეფექტიანად ინტეგრირების საშუალებას აძლევს.

შინაარსის მიწოდებასთან ერთად ცენტრი ხელს უწყობს საქართველოსა და ევროპის უსდ-ებს შორის პარტნიორობასა და თანამშრომლობას. ერთობლივ პროექტებში მონაწილეობით საქართველოს დაწესებულებებს შეუძლიათ ახალი საგანმანათლებლო მასალების შექმნაში წვლილის შეტანა და მომავალ რესურსებში საკუთარი საჭიროებებისა და ხედვების ასახვა. პლატფორმა რეგულარულად ახლდება ახალი მასალებითა და ინოვაციებით, რათა რესურსები თანამედროვე განათლებისა და კვლევის ტენდენციებს შეესაბამებოდეს. ახალი შინაარსის უწყვეტი ნაკადი საქართველოს უსდ-ებს საერთაშორისო განვითარებებთან პროგრამების შესაბამისობისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის გაზრდის საშუალებას აძლევს.

6.3 არსებულ სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო მასალების არსებულ კურიკულუმებში ინტეგრირება საქართველოს უსდ-ებში შინაარსის ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯია. Erasmus+-ისა და ჰორიზონტი ევროპის პროექტებით მიწოდებულ მასალებს შეუძლია არსებული კურსების შეთავაზება შეავსოს და გააუმჯობესოს, სტუდენტებს გლობალურად აღიარებულ შინაარსზე წვდომა მისცეს და ამავე დროს დაწესებულების აკადემიური მიზნების მთლიანობა შეინარჩუნოს (T. Zhang, 2022).

საბაზისო კურსებში, როგორიცაა ეკონომიკა, ინჟინერია ან პოლიტიკური მეცნიერება, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ რესურსებს ახალი პერსპექტივებისა და მეთოდების შემოტანა შეუძლია. ადგილობრივი და საერთაშორისო ხედვების შერწყმით პედაგოგები სტუდენტებს საგნის უფრო სრულყოფილ გაგებას სთავაზობენ. სპეციალიზებულ არჩევით კურსებში

ევროკავშირის რესურსები უზრუნველყოფს უახლეს კვლევებსა და ვიწრო თემებზე წვდომას, რომლებიც ადრე საქართველოს დაწესებულებებში არ იყო ხელმისაწვდომი. მდგრადი განვითარების ან ციფრული ტრანსფორმაციის მასალები სტუდენტებს ახალ სფეროებს აცნობს და მომავალ კარიერაზე ამზადებს. ევროკავშირის პროექტების მოდულები და ციფრული რესურსები იყენებს ინოვაციურ მეთოდებს, როგორიცაა პრობლემებზე დაფუძნებული სწავლა, შებრუნებული საკლასო ოთახი და თანამშრომლობითი ონლაინ სწავლა. მათი დანერგვა ზრდის სტუდენტთა ჩართულობას, აუმჯობესებს სწავლის შედეგებს და ქმნის უფრო დინამიკურ გარემოს.

6.4 გავლენა საგანმანათლებლო შინაარსის ხარისხსა და სტუდენტთა შედეგებზე

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებით საქართველოს უსდ-ებს შეუძლიათ მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ საგანმანათლებლო შინაარსის საერთო ხარისხი. ეს პირდაპირ მოქმედებს სტუდენტთა შედეგებზე, რადგან ისინი ეცნობიან საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და უახლეს ცოდნას. მაღალი ხარისხის, რეცენზირებულ მასალებზე წვდომა ზრდის კარგი აკადემიური შედეგების ალბათობას (Isaeva et al., 2021). მრავალფეროვანი პერსპექტივებისა და თანამედროვე კვლევების ინტეგრირება სტუდენტებს საგნების ღრმა გაგებაში ეხმარება და აუმჯობესებს შეფასებებსა და სწავლის შედეგებს. გლობალურად რელევანტური შინაარსი კურსდამთავრებულებს საერთაშორისო შრომის ბაზარზე საჭირო ცოდნასა და უნარებს აძლევს. საქართველოში დარჩებიან თუ საზღვარგარეთ გააგრძელებენ საქმიანობას, მათი განათლება მთელ მსოფლიოში აღიარებული და დაფასებული იქნება (Bunescu and Gaebel, 2018). ევროკავშირის სტანდარტებთან პროგრამების შესაბამისობით საქართველოს უსდ-ები აძლიერებენ რეპუტაციასა და კონკურენტუნარიანობას, რაც შეიძლება გაზარდოს უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვა, ევროპულ ინსტიტუტებთან პარტნიორობა და გლობალურ აკადემიურ გაცვლებში მონაწილეობა.

მოდული 7. შემთხვევის კვლევა: Erasmus+-ის წარმატებული გამოყენება საქართველოს უსდ-ების მიერ

საქართველოს უსდ-ებისთვის Erasmus+-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სარგებელი ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისი კურიკულუმების განვითარება იყო. Erasmus+-მა ხელი შეუწყო საქართველოს უნივერსიტეტებსა და ევროპელ პარტნიორებს შორის მრავალრიცხოვანი

თანამშრომლობის ჩამოყალიბებას, რაც ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გადაცემას უზრუნველყოფს.

ცხრილი 2. Erasmus+-ის წარმატებული პროექტები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: ძირითადი მიღწევები და შედეგები

დაწესებულება	პროექტის დასახელება	მიმართულება	ძირითადი შედეგები
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU)	ევროპისმცოდნეობის სასწავლო პროგრამის შემუშავება	სასწავლო პროგრამების განვითარება, აკადემიური თანამშრომლობა	შემუშავდა ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი ევროპისმცოდნეობის პროგრამა და სტუდენტთა მობილობისთვის კრედიტების აღიარების სისტემა.
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი	საქართველოში აგრარული მეცნიერებების სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია	სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია, სოფლის მეურნეობა	დაინერგა მდგრადი სოფლის მეურნეობისა და ზუსტი მიწათმოქმედების მოდულები, რამაც სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობები გაზარდა.
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISU)	ISU-სა და ევროკავშირის პარტნიორებს შორის სტუდენტთა და პერსონალის მობილობის ხელშეწყობა	სტუდენტთა და პერსონალის მობილობა	ასობით სტუდენტს მიეცა საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა, ხოლო გაცვლითმა პროგრამებმა პერსონალის სწავლების მეთოდები გააუმჯობესა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ATSU)	საქართველოს უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა	ინტერნაციონალიზაცია, სტუდენტთა და პერსონალის მობილობა	ევროპულ უნივერსიტეტებთან გაფორმდა ორმხრივი შეთანხმებები, რამაც გლობალურ აკადემიურ გარემოსთან კავშირი გააძლიერა.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (BSRSU)	უნივერსიტეტის მმართველობის რეფორმა და მოდერნიზაცია	ინსტიტუციური მმართველობა, ადმინისტრაციული მოდერნიზაცია	დაინერგა თანამედროვე მმართველობის სტრუქტურები, გაუმჯობესდა ფინანსური მართვა და სტუდენტური სერვისები.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU)	უნივერსიტეტის ადმინისტრაციული სერვისების გაციფრულება	ციფრული ტრანსფორმაცია, ადმინისტრაციული მოდერნიზაცია	გაციფრულებული ადმინისტრაციული პროცესები, რომლებიც ეფექტიანობასა და გამჭვირვალობას ზრდის.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (GTU)	კვლევითი შესაძლებლობების განვითარება ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სფეროებში	კვლევის განვითარება, ტექნოლოგია	გაძლიერდა განახლებადი ენერგიისა და ჭკვიანი ტექნოლოგიების კვლევა; დაწესებულება ჰორიზონტი ევროპის პროექტებს შეუერთდა.
კავკასიის უნივერსიტეტი	სამეწარმეო და ინოვაციური უნარების განვითარება	მეწარმეობა, ინოვაცია	კურიკულუმებში ინტეგრირდა სამეწარმეო უნარები, რამაც სტუდენტურ სტარტაპებსა და

			ინოვაციის კულტურას შეუწყო ხელი.

დასკვნა

„CBT1 — ევროკავშირის რესურსებზე წვდომა უსდ-ის ოპერაციული და შინაარსობრივი ხარისხის გასაუმჯობესებლად“ წარმოაჩენს იმ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, რომლებსაც ევროკავშირის რესურსები, განსაკუთრებით საქართველოში, უსდ-ებს სთავაზობს. ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამებით, როგორიცაა Erasmus+ და ჰორიზონტი ევროპა, და Europass-ის ციფრული კვალიფიკაციების ჩარჩოს მსგავსი ინსტრუმენტებით საქართველოს უსდ-ებს საქმიანობის ადაპტირება, საგანმანათლებლო შინაარსის მოდერნიზება და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა შეუძლიათ. ეს რესურსები ფოკუსირებულია ციფრულ ტრანსფორმაციაზე, საერთაშორისო მობილობაზე, ხარისხის უზრუნველყოფასა და კურიკულუმის განვითარებაზე. ევროკავშირის ჩარჩოები — EQAR, ECTS და EQF — ასევე ხელს უწყობს კვალიფიკაციების ხარისხის, სანდოობისა და საერთაშორისო აღიარების გარანტირებას. რესურსების სტრატეგიული გამოყენება საბოლოოდ საქართველოს უსდ-ების მოდერნიზაციასა და ინოვაციას და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში მათ კონკურენტუნარიანობას ზრდის.

ლიტერატურა:

Abdulrahaman, M.D., Faruk, N., Oloyede, A.A., Surajudeen-Bakinde, N.T., Olawoyin, L.A., Mejabi, O.V., Imam-Fulani, Y.O., Fahm, A.O., Azeez, A.L., 2020. Multimedia tools in the teaching and learning processes: A systematic review: Heliyon [WWW Document]. URL https://www.cell.com/heliyon/fulltext/S2405-8440(20)32155-1 (accessed 9.15.24).

Alexiadou, N., Rambla, X., 2023. Education policy governance and the power of ideas in constructing the new European Education Area. Eur. Educ. Res. J. 22, 852–869. https://doi.org/10.1177/14749041221121388

Analysis of Frameworks for Digital Skills Training for Secondary School Teachers: A Systematic Review, 2024. . TEM J. 13, 1038–1050.

Andrea, T., Caforio, A., Romano, E., Lamponi, E., Pollini, A., 2024. The development of a Competence Framework for Environmental Education complying with the European Qualifications Framework and the European Green Deal [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00958964.2023.2259846 (accessed 9.15.24).

Arenas, R., Fernandez, P., 2018. CredenceLedger: A Permissioned Blockchain for Verifiable Academic Credentials | IEEE Conference Publication | IEEE Xplore [WWW Document]. URL https://ieeexplore.ieee.org/abstract/document/8436324 (accessed 9.23.24).

Bakar, A.N., Mahmud, M.B., Mokhtar, R., Ibrahim, K., 2024. Being Mega And Becoming International: Opportunities and challenges for Universiti Teknologi MARA (UiTM). Environ.-Behav. Proc. J. 9, 77–82. https://doi.org/10.21834/e-bpj.v9iSI22.5814

Baldi, M., Chiaraluce, F., Kodra, M., Spalazzi, L., 2019. [1910.04622] Security analysis of a blockchain-based protocol for the certification of academic credentials [WWW Document]. URL https://arxiv.org/abs/1910.04622 (accessed 9.23.24).

Bich Khuyen Dinh, N., Zhu, C., Caliskan, A., 2023. Academic Leadership Development: An Exploratory Study on the Impacts at the Institutional Level Based on an Erasmus+ Capacity Building Project - Ngoc Bich Khuyen Dinh, Chang Zhu, Aysun Caliskan, Zhao Cheng, 2023 [WWW Document]. URL https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/21582440231205128 (accessed 9.21.24).

Bobotsi, C., 2021. EU Education Diplomacy: Embeddedness of Erasmus+ in the EU's Neighbourhood and Enlargement Policies. College of Europe EU Diplomacy Paper 3/2021. (Working Paper).

Bora, S.I., Schramm, L., 2023. Toward a more 'sovereign' Europe? Domestic, bilateral, and European factors to explain France's (growing) influence on EU politics, 2017–2022 | French Politics [WWW Document]. URL https://link.springer.com/article/10.1057/s41253-022-00203-y (accessed 9.23.24).

Bower, M., Lee, M.J., Dalgarno, B., 2017. Collaborative learning across physical and virtual worlds: Factors supporting and constraining learners in a blended reality environment - Bower - 2017 - British Journal of Educational Technology - Wiley

Online Library [WWW Document]. URL https://bera-journals.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/bjet.12435?casa_token=GkMpWfD3C7gAAAAA%3AxtYL5T6RfAJ5vP_z1PPzTsNYPAUDIC6hXvLkCxft3U6rvcBlt11ojYzQINXxVaYABj0Hbna_9-GvlYM (accessed 9.23.24).

Bunescu, L., Gaebel, M., 2018. National initiatives in learning and teaching in Europe. In A report from the European Forum for Enhanced Collaboration in Teaching (EFFECT) project. Bruss. Eur. Univ. Assoc. Recuperado De.

Cetl, V., 2020. Digitally-enabled Development for a Sustainable Future in Eastern Europe.

Chakhaia, L., Bregvadze, T., 2018. Georgia: Higher Education System Dynamics and Institutional Diversity, in: Huisman, J., Smolentseva, A., Froumin, I. (Eds.), 25 Years of Transformations of Higher Education Systems in Post-Soviet Countries, Palgrave Studies in Global Higher Education. Springer International Publishing, Cham, pp. 175–197. https://doi.org/10.1007/978-3-319-52980-6_7

Chankseliani, M., Qoraboyev, I., 2021. Higher education contributing to local, national, and global development: new empirical and conceptual insights | Higher Education [WWW Document]. URL https://link.springer.com/article/10.1007/s10734-020-00565-8 (accessed 9.21.24).

Commission Implementing Decision, 2021. framework of inclusion measures of Erasmus+ and European Solidarity Corps 2021-27.

De Villiers, R., 2021. Seven principles to ensure future-ready accounting graduates – a model for future research and practice. Meditari Account. Res. 29, 1354–1380. https://doi.org/10.1108/MEDAR-04-2020-0867

Degn, L., Madsen, M., Brøgger, K., 2023. Translating quality criteria in university accreditation. J. Account. Organ. Change 19, 588–602. https://doi.org/10.1108/JAOC-02-2022-0030

Deniz, S., Müller, U.C., Steiner, I., Sergi, T., 2022. Online (Remote) Teaching for Laboratory Based Courses Using “Digital Twins” of the Experiments | J. Eng. Gas Turbines Power | ASME Digital Collection [WWW Document]. URL https://asmedigitalcollection.asme.org/gasturbinespower/article-abstract/144/5/051016/1130858/Online-Remote-Teaching-for-Laboratory-Based (accessed 9.23.24).

El Koshiry, A., Eliwa, E., Abd El-Hafeez, T., Shams, M.Y., 2023. Unlocking the power of blockchain in education: An overview of innovations and outcomes - ScienceDirect [WWW Document]. URL https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2096720923000404 (accessed 9.23.24).

Erguvan, E.B., 2024. From Classroom to Career: Quantifying the Role of Lifelong Learning in Job Market Success for Georgian University Graduates. J. Educ. Black Sea Reg. 9, 72–90. https://doi.org/10.31578/jebs.v9i2.319

European Commission, 2024a. “Higher Education (Teaching Staff).” Erasmus+ Programme, https://erasmus-plus.ec.europa.eu/opportunities/opportunities-for-individuals/teaching-opportunities-for-staff/higher-education-teaching-staff. Accessed 19 Sept. 2024.

European Commission, 2024b. Implementation Guidelines: Erasmus+ and European Solidarity Corps Inclusion and Diversity Strategy, https://erasmus-plus.ec.europa.eu/document/implementation-guidelines-erasmus-and-european-solidarity-corps-inclusion-and-diversity-strategy.

European Commission, 2023. Erasmus+ International Credit Mobility, Handbook for Participating Organisations.

European Commission, 2021. Erasmus+ : over € 28 billion to support mobility and learning for all , across the European Union and beyond For More Information (Issue March).

European Commission, 2018. Proposal for a COUNCIL RECOMMENDATION on Key Competences for Lifelong Learning. --— Retrieved: https://ec.europa.eu/transparency/regdoc/rep/1/2018/EN/COM-2018-24-F1-EN-MAIN-PART-1.PDF.

Ferreras-Garcia, R., Sales-Zaguirre, J., Serradell-López, E., 2021. Developing entrepreneurial competencies in higher education: a structural model approach. Educ. Train. 63, 720–743. https://doi.org/10.1108/ET-09-2020-0257

Fumasoli, T., Rossi, F., 2021. The role of higher education institutions in transnational networks for teaching and learning innovation: The case of the Erasmus+ programme - Fumasoli - 2021 - European Journal of Education - Wiley Online Library [WWW Document]. URL https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/ejed.12454 (accessed 9.21.24).

Gaftandzhieva, S., Doneva, R., 2021. DATA ANALYTICS TO IMPROVE AND OPTIMIZE UNIVERSITY PROCESSES. ICERI2021 Proc. 6236–6245. https://doi.org/10.21125/iceri.2021.1404

Gleeson, J., Lynch, R., McCormack, O., 2021. The European Credit Transfer System (ECTS) from the perspective of Irish teacher educators - Jim Gleeson, Raymond Lynch, Orla McCormack, 2021 [WWW Document]. URL https://journals.sagepub.com/doi/full/10.1177/1474904120987101 (accessed 9.15.24).

Gottlieb, M., Bacharach, G., 2024. Cleaning Up: Interplay Between European Standards and Verifiable Credentials for Higher Education Institutions | SpringerLink [WWW Document]. URL https://link.springer.com/unit/10.1007/978-3-031-26190-9_81 (accessed 9.21.24).

Hamed, G., Aljanazrah, A., 2020. The effectiveness if using virtual experiments on students' learning in the general physics lab | FADA ::Birzeit University Institutional Repository [WWW Document]. URL https://fada.birzeit.edu/handle/20.500.11889/6731 (accessed 9.23.24).

Haşlaman, T., Atman Uslu, N., Mumcu, F., 2024. Development and in-depth investigation of pre-service teachers' digital competencies based on DigCompEdu: a case study. Qual. Quant. 58, 961–986. https://doi.org/10.1007/s11135-023-01674-z

Hauptman Komotar, M, 2018. Quality assurance of internationalisation and internationalisation of quality assurance in Slovenian and Dutch higher education: European Journal of Higher Education: Vol 8, No 4 [WWW Document]. URL

https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/21568235.2018.1458635 (accessed 9.15.24).

Hazelkorn, E., 2018. Reshaping the world order of higher education: the role and impact of rankings on national and global systems*. Policy Rev. High. Educ. 2, 4–31. https://doi.org/10.1080/23322969.2018.1424562

Hooda, M., Rana, C., Dahiya, O., Rizwan, A., Hossain, M.S., 2022. Artificial Intelligence for Assessment and Feedback to Enhance Student Success in Higher Education - Hooda - 2022 - Mathematical Problems in Engineering - Wiley Online Library [WWW Document]. URL https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1155/2022/5215722 (accessed 9.23.24).

Ilyasov, A., Imanova, S., Mushtagov, A., Sadigova, Z., 2023. Modernization of quality assurance system in higher education of Azerbaijan. Qual. High. Educ. 29, 23–41. https://doi.org/10.1080/13538322.2022.2100606

Iosava, L., 2019. Internationalization and Academic Mobility: Trends and Prospects in Georgian Higher Education, in: Wiseman, A.W. (Ed.), Annual Review of Comparative and International Education 2018, International Perspectives on Education and Society. Emerald Publishing Limited, pp. 255–267. https://doi.org/10.1108/S1479-367920190000037019

Isaeva, R., Gurbanova, V., Baghirov, P., 2021. National Impact Study on Capacity Building in Higher Education Action Projects in Azerbaijan Funded by the EU Erasmus+ programme implemented in the period of 2015-2020 (Working Paper).

Jibladze, E., Glonti, L., 2020. Higher Education Systems and Institutions, Georgia, in: Teixeira, P.N., Shin, J.C. (Eds.), The International Encyclopedia of Higher Education Systems and Institutions. Springer Netherlands, Dordrecht, pp. 1055–1063. https://doi.org/10.1007/978-94-017-8905-9_393

Kabashi, F., Snopçe, H., Luma, A., Neziri, V., 2024. [2406.15482] Blockchain for Academic Integrity: Developing the Blockchain Academic Credential Interoperability Protocol (BACIP) [WWW Document]. URL https://arxiv.org/abs/2406.15482 (accessed 9.23.24).

Kikutadze, V, S., D., Lekishvili, T, 2022. Peculiarities of Digital Transformation of Higher Educational Institutions in Georgia | SpringerLink [WWW Document]. URL https://link.springer.com/unit/10.1007/978-3-031-45601-5_21 (accessed 9.14.24).

Kohoutek, J., Veiga, A., Rosa, M.J., Sarrico, C.S., 2018. The European Standards and Guidelines for Quality Assurance in the European Higher Education Area in Portugal and the Czech Republic: Between the Worlds of Neglect and Dead Letters? | Higher Education Policy [WWW Document]. URL https://link.springer.com/article/10.1057/s41307-017-0050-z (accessed 9.21.24).

Korzeb, Z., Alonso-Fariñas, B., Irimia-Diéguez, A.I., Naharro, F.J., Kobylińska, U., Pietro, F.D., Sanchez, M.J.P., Rollnik-Sadowska, E., Szpilko, D., Szydło, J., Gallegos, A.D.L.T., 2024. Sciendo. Eng. Manag. Prod. Serv. 16, 68–89. https://doi.org/10.2478/emj-2024-0014

Kosgei, A.J., Kipkoech, L., Limo, A., 2023. The Availability of Infrastructure to Support Digital Learning in Public Universities During the Post COVID-19 Era in Uasin Gishu County, Kenya | Journal of Research in Education and Technology [WWW Document]. URL

https://blueprintacademicpublishers.com/index.php/JORET/article/view/7 (accessed 9.23.24).

Kosmützky, A., Wöhlert, R., 2021. Varieties of collaboration: On the influence of funding schemes on forms and characteristics of international collaborative research projects (ICRPs) - Kosmützky - 2021 - European Journal of Education - Wiley Online Library [WWW Document]. URL https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/ejed.12452 (accessed 9.23.24).

Kropp, K., Larsen, A.G., 2023. Changing the topics: the social sciences in EU-funded research projects | Comparative European Politics [WWW Document]. URL https://link.springer.com/article/10.1057/s41295-022-00313-5 (accessed 9.23.24).

Krzyżak, J., Walas-Trębacz, J., 2024. Challenges in remote education: analysis of social interaction, motivation and engagement. E-Mentor 104, 44–53. https://doi.org/10.15219/em104.1654

Kumar, P., Shukla, B., Passey, D., 2020. IMPACT OF ACCREDITATION ON QUALITY AND EXCELLENCE OF HIGHER EDUCATION INSTITUTIONS.

Kvirkvaia, M., Kikutadze, V., Dagelishvili, N., Gujaraidze, G., Tavkhelidze, T., 2022. THE STUDY OF COOPERATION BETWEEN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS AND EMPLOYERS IN GEORGIA 2.

Leceta, J.M., Könnölä, T., 2021. Fostering entrepreneurial innovation ecosystems: lessons learned from the European Institute of Innovation and Technology: Innovation: The European Journal of Social Science Research: Vol 34, No 4 [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13511610.2019.1612737 (accessed 9.21.24).

Lekashvili, E., 2019. Management on innovations in Georgian higher educational institutions key problems with teaching economic science.

Leotta, P.C., Tutino, V., 2022. A Simple User Guide for Erasmus+ Teaching and Training. The Case of the University of Catania, in: Gude Prego, J.J., de la Puerta, J.G., García Bringas, P., Quintián, H., Corchado, E. (Eds.), 14th International Conference on Computational Intelligence in Security for Information Systems and 12th International Conference on European Transnational Educational (CISIS 2021 and ICEUTE 2021). Springer International Publishing, Cham, pp. 245–253. https://doi.org/10.1007/978-3-030-87872-6_24

Lezhava, D., 2024. Sciendo. TalTech J. Eur. Stud. 14, 71–89. https://doi.org/10.2478/bjes-2024-0004

Manatos, M.J., Sarrico, C.S., Rosa, M.J., 2017. The European standards and guidelines for internal quality assurance. TQM J. 29, 342–356. https://doi.org/10.1108/TQM-01-2016-0009

Medicine, N.A. of S., Engineering, and, Affairs, P. and G., Workforce, B. on H.E. and, Program, S. and T. for S., Levels, C. on S.S.P. and C. at the U. and G., 2020. Strengthening Sustainability Programs and Curricula at the Undergraduate and Graduate Levels. National Academies Press.

Mercy, D., Masengu, R., Sibanda, S., Mandongwe, L., 2023. Assessment: higher education institutions' innovative online assessment methods beyond the era of the COVID-19

pandemic - ScienceDirect [WWW Document]. URL https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/B9780323955003000109 (accessed 9.15.24).

Meyer, M.F., Ladwig, R., Dugan, H.A., Anderson, A., Bah, A., Boehrer, B., Weathers, K.C., 2021. Virtual Growing Pains: Initial Lessons Learned from Organizing Virtual Workshops, Summits, Conferences, and Networking Events during a Global Pandemic - Meyer - 2021 - Limnology and Oceanography Bulletin - Wiley Online Library [WWW Document]. URL https://aslopubs.onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1002/lob.10431 (accessed 9.23.24).

Meylani, R., 2024. A Comparative Analysis of Traditional and Modern Approaches to Assessment and Evaluation in Education. Batı Anadolu Eğitim Bilim. Derg. 15, 520–555. https://doi.org/10.51460/baebd.1386737

Moirano, R., Sánchez, M.A., Štěpánek, L., 2020. Creative interdisciplinary collaboration: A systematic literature review - ScienceDirect [WWW Document]. URL https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1871187119302196?casa_token=q-E_7PG0gk4AAAAA:quuXgc-OnqCELXeM7cTYlWMzFQdZG4jJuqL_ZMjrVrpgzblS3U6yXTOjDptzR3fiJjtTX701OA (accessed 9.23.24).

Mokhtari, F., 2023. Fostering Digital Literacy in Higher Education: Benefits, Challenges and Implications | International Journal of Linguistics, Literature and Translation [WWW Document]. URL https://al-kindipublisher.com/index.php/ijllt/article/view/6233 (accessed 9.15.24).

Moonasar, A., 2024. Continuing professional development and the changing landscape of academic libraries. Libr. Manag. 45, 226–242. https://doi.org/10.1108/LM-09-2023-0100

Nipa, T.J., Kermanshachi, S., 2020. Assessment of open educational resources (OER) developed in interactive learning environments | Education and Information Technologies [WWW Document]. URL https://link.springer.com/article/10.1007/S10639-019-10081-7 (accessed 9.23.24).

Oleksiyenko, A.V., 2023. De-Sovietisation of Georgian higher education: deconstructing unfreedom: Quality in Higher Education: Vol 29, No 1 [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13538322.2022.2100599 (accessed 9.23.24).

Papiashvili, Ana, 2024. The Bologna Process and Georgian Higher Education: Advances in Academic Social Responsibility. Eur. Educ. 56, 1–17. https://doi.org/10.1080/10564934.2023.2299444

Papiashvili, A, 2024. The Bologna Process and Georgian Higher Education: Advances in Academic Social Responsibility: European Education: Vol 56, No 1 [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/10564934.2023.2299444 (accessed 9.23.24).

Popkhadze, N., 2021. Exploring Pathways To Innovation and Entrepreneurship in Georgian Higher Education Context - Trepo [WWW Document]. URL https://trepo.tuni.fi/handle/10024/125020 (accessed 9.23.24).

Qing, G., Wang, Y., 2021. Factors Affecting the Efficiency of University Administration Based on Big Data Analysis | 2021 2nd International Conference on Computers, Information Processing and Advanced Education [WWW Document]. URL https://dl.acm.org/doi/abs/10.1145/3456887.3457109 (accessed 9.15.24).

Ramesh, D., Sanampudi, S.K., 2022. An automated essay scoring systems: a systematic literature review. Artif. Intell. Rev. 55, 2495–2527. https://doi.org/10.1007/s10462-021-10068-2

Riga, Z., 2024. Exploring the Skills Gap: Evaluating the Alignment Between Post-Secondary Education and Employment Skills [WWW Document]. URL https://repository.ihu.edu.gr/xmlui/handle/11544/30427 (accessed 9.23.24).

Rosienkiewicz, M., Helman, J., Cholewa, M., Molasy, M., Górecka, A., Kohen-Vacs, D., Winokur, M., Amador Nelke, S., Levi, A., Gómez-González, J.F., Bourgain, M., Sagar, A., Berselli, G., Benis, A., 2024. Enhancing Technology-Focused Entrepreneurship in Higher Education Institutions Ecosystem: Implementing Innovation Models in International Projects. Educ. Sci. 14, 797. https://doi.org/10.3390/educsci14070797

Ryberg, M., 2020. Governing Interdisciplinarity: Stakes and Translations of Interdisciplinarity in Danish High School education. Copenhagen Business School [Phd].

Sabuncu, F.H., Çukurbaşı Çalışır, E., Kisla, T., 2022. Eğitim 4.0 Sürecinde Öğretmenlerin Teknoloji Yeterliği Öz Değerlendirmelerinin İncelenmesi.

Şahin, S.Z., Şahin, B.B., Söylemez, E., 2024. Research in Educational Administration and Leadership » Submission » An Evaluation of the Spatial Repercussions of Student Mobility Policy in European Higher Education Area Using Network Analysis [WWW Document]. URL https://dergipark.org.tr/en/pub/real/issue/83953/1392301 (accessed 9.21.24).

Sánchez-Chaparro, T., Remaud, B., Gómez-Frías, V., Duykaerts, C., Jolly, A.M., 2022. Benefits and challenges of cross-border quality assurance in higher education. A case study in engineering education in Europe: Quality in Higher Education: Vol 28, No 3 [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13538322.2021.2004984 (accessed 9.21.24).

Shoaib, M., Sayed, N., Singh, J., Shafi, J., Khan, S., Ali, F., 2024. AI student success predictor: Enhancing personalized learning in campus management systems - ScienceDirect [WWW Document]. URL https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0747563224001699?casa_token=accsomfiDiwAAAAA:R2Yz61DM0_1NC-brmm7878qsnSUhQRyeIgpdVfOhrADls01lCg5J56IV2ABqCyvguOlZFAsidQ (accessed 9.23.24).

Šoštarić, S.B., Paszkowska, G., Jansson, N., Lopes, L., Miravalles, A.S., Maričić, A., 2023. Curriculum Development for Improving Mineral Exploration-Related Master

Programs towards Innovation, Entrepreneurship and Social Responsibility [WWW Document]. URL https://www.mdpi.com/2673-4605/15/1/8 (accessed 9.21.24).

Soulé, M.V., Kakoulli Constantinou, E., 2024. Digital Pedagogies for Higher Education: The Design of an Online Training Programme for Academic Staff, in: Zaphiris, P., Ioannou, A. (Eds.), Learning and Collaboration Technologies. Springer Nature Switzerland, Cham, pp. 91–102. https://doi.org/10.1007/978-3-031-61672-3_7

Staring, F, B., M., Bacsich, P, I., D., 2022. Digital higher education : Emerging quality standards, practices and supports | OECD Education Working Papers | OECD iLibrary [WWW Document]. URL https://www.oecd-ilibrary.org/education/digital-higher-education_f622f257-en (accessed 9.14.24).

Tabatadze, S., Chachkhiani, K., 2022. University-Based Research and Development in Georgia, in: Chankseliani, M., Fedyukin, I., Frumin, I. (Eds.), Building Research Capacity at Universities: Insights from Post-Soviet Countries. Springer International Publishing, Cham, pp. 201–221. https://doi.org/10.1007/978-3-031-12141-8_11

Tabatadze, S., Dundua, S., 2023. Research in Educational Administration and Leadership » Submission » Education Policy Transfer and Policy Change: Examining the Case of the National Assessment and Examination Center of Georgia [WWW Document]. URL https://dergipark.org.tr/en/pub/real/article/1156035 (accessed 9.21.24).

Toti, L., Cina, E., 2024. SUSTAINABLE DEVELOPMENT OF SCIENTIFIC RESEARCH INFRASTRUCTURE FOR QUALITY AND INNOVATIVE HIGHER EDUCATION IN THE FIELD OF INFORMATION TECHNOLOGY. . Vol.

Veiga, A., 2023. Unthinking the European Higher Education Area: differentiated integration and Bologna's different configurations, in: Globalizing Higher Education and Strengthening the European Spirit. Routledge.

Verulava, T., Shengelia, K., Makharashvili, G., 2023. ERIC - EJ1383227 - Challenges of Distance Learning at Universities during the COVID-19 Pandemic in Georgia, Journal of Learning for Development, 2023 [WWW Document]. URL https://eric.ed.gov/?id=EJ1383227 (accessed 9.23.24).

Voudoukis, N., Pagiatakis, G., 2022. Massive Open Online Courses (MOOCs): Practices, Trends, and Challenges for the Higher Education. Eur. J. Educ. Pedagogy 3, 288–295. https://doi.org/10.24018/ejedu.2022.3.3.365

Wadee, A.A., 2017. Higher Education: Catalysts for the Development of an Entrepreneurial Ecosystem, or … Are We the Weakest Link? - Ahmed A. Wadee, Anshu Padayachee, 2017 [WWW Document]. URL https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0971721817702290 (accessed 9.21.24).

Wagenaar, R., 202AD. 6 International Student Mobility Based on Learning Outcomes and Workload: The European Credit Transfer and Accumulation System [WWW Document]. URL https://www.degruyter.com/document/doi/10.1515/9781553395560-008/pdf?licenseType=restricted (accessed 9.21.24).

Zhang, B., 2022. The alliance effects of technological innovation strategic alliance: A comparative analysis between EIT KICs and ITISAs: Innovation: The European Journal of Social Science Research: Vol 0, No 0 [WWW Document]. URL https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13511610.2022.2121266 (accessed 9.21.24).

Zhang, T., 2022. National developments in learning and teaching in Europe. Bruss. EUA Eur. Univ. Assoc.



Co-funded by the European Union

პროექტის ნომერი: 101125355 (ERASMUS-EDU-2023-CBH

CC BY NC SA

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს/ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ევროკავშირის ან განათლებისა და კულტურის ევროპული აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) პოზიციას. მათზე პასუხისმგებლობა არც ევროკავშირს და არც EACEA-ს არ ეკისრება.